სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) გაზეთ „საქართველოში“ (მოწოდებანი, სიტყვანი, შესხმანი)

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე

(ოქროპირიძე)

გაზეთ „საქართველოში“

მოწოდებანი, სიტყვანი, შესხმანი

შეადგინა და გამოსცა ბიბლიოგრაფმა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა

ყდა ირაკლი თეზელაშვილისა

თბილისი

„წიგნის სავანე“

2017

კათალიკოსი ლეონიდე ოქროპირიძე

გაზეთ „საქართველოში“

(მოწოდებანი, სიტყვანი, შესხმანი)

საქართველო. - 1915. – N62. – 5 აგვისტო. - გვ.3.

სიტყვა

თქმული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ

ვაჟა-ფშაველას დასაფლავების დღეს

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

სათაყვანო და სულზე უტკბესი ჩვენი სამშობლოს იშვიათი შვება-ნეტარების აღმძვრელი მოყვანილობის გულ-მკერდი დაგვირისტებულია, როგორც ვიცით, ბროლივით გამსჭვირვალი, ანკარა და მკვირცხლად მჩქეფარე ხშირი მდინარეებით, ყველა ეს მდინარეები, ვით ჩვილი რძით სავსე დედის ძუძუს, ჩაჰკონებიან თავიანთი სათაურებით მთებს, რომლებიც მუყაით დარაჯებად გარს შემორტყმიან საქართველოს საზღვრებს. აქედან, მთების წიაღიდან, ეზიდებიან იგინი სამშობლოს ყოველი კუთხისკენ იმ სიმდიდრისა, დოვლათისა და ბარაქიანობის წარმომშობ ძალას, რომლითაც ცნობილია ჩვენი სამშობლო. ამ მდინარეების მეოხებაა, რომ საქართველო მთელი წლის განმავლობაში ხასხას-ედემისებურ წალკოტად, რომელშიაც ერთიმეორეს ეხლართებიან ვაზი და ფორთოხლის ხე, თურინჯ-ნარინჯი და ლეღვ-ბროწეული, ზეთისხილი და დაფნა. ამ მდინარეების გამოა, რომ საქართველო მოფენილია უწარჩინებულესი თვისების ხილის ბაღებით და ალაგ-ალაგ დაბურული უტეხი ტყეებით; ეს მდინარეებია მიზეზი, რომ საქართველოს ნიადაგში ჩაბნეული ხორბლის თესლი მოსავლის ულეველ ზღვად სკდება და მისი მთა-ბარი აღმოაცენებს აბრეშუმის მსგავს ნოყიერ ბალახს.

მდინარეთა ასეთი გავლენა, ასეთი მნიშვნელობა და ღირსება ჩამოუყალიბა ამ წამს ჩვენს წინ ცხედრად მდებარე ბუნების უებრო მესაიდუმლემ ვაჟა-ფშაველამ შემდეგს ხელის-ხელ საგოგმანებელ ლექსში: „მაღალის მთების შვილი ვარ, ყელთავქვე დაკიდებული, მოვდივარ დაუღალავად სოფლისთვის აკიდებული... სოფლის შინავარ, შინასებრ გულ-მკერდზე ჩაკიდებული. დაგვალულს მინდორს ვაცოცხლებ, თან ვეუბნები ნანასა; ბალახს გავმართავ წელშია თავს ავუმაღლებ ყანასა...“

დიახ, აქ გამოყვანილია მდინარეთა გავლენა-მნიშვნელობა, მაგრამ მე კი ამ საუცხოვო სიტყვების გაგონებაზე თვალწინ მიდგება თვით ვაჟას ბუმბერაზი პიროვნება, ვაჟას დიადი

ღირებულება, ვაჟასაგან სამშობლოს კეთილდღეობისათვის გაწეული ღვაწლი და ფასდაუდებელი შრომა.

თუ არაგვი გამოქუხს კავკასიონის ქედის გულიდან, ვაჟაც ამავე ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე აშენებულ ბუდიდან გადმოფრენილი არწივია; თუ „ყელთავქვე დაკიდებულნი - მთის მდინარეები - დაუღალავად მოდიან სოფლისთვის აკიდებულნი," ესე იგი ქვეყნის პოხიერებისა და უხვი ნაყოფიერებისათვის საჭირო ნაწილებით დაბარგულ-დატვირთული, არც ვაჟა ჩამოსულა როდისმე ბარად ხელცარიელი და უბარგოდ. ვაჟამ ბარში ფეხჩამოდგმისთანავე ჩამოიყოლია ძვირფასი ბარგი ბრწყინვალე ნიჭისა, რომელმაც თავი იჩინა ჯერ ისევ ვაჟას მოსწავლეობის დროს და შემდეგში ხომ, როდესაც ეს ნიჭი გააპირფხავა და გააბასრა სწავლა-განვითარების ქასურზე, მისი დიადი გონების სალაროდან ამოხეთქილ შემოქმედების შადრევანი აღარა დროს აღარ შეჩერებულა, ვაჟა ბარში აღარ ჩამოსულა, რომ გულზე დაკიდებული შანასავით არ ჩამოეტანოს თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი ნაწარმოებნი, აღარ გამოსულა ჩვენში ბეჭდვითი ორგანო, რომ მისი ფურცლები არ დაემშვენებინოს ვაჟას ნაწერებს, აღარ გაზრდილა ჩვენში თაობა, რომ მთელი არსებით არ დასწაფებოდეს ვაჟას ლექსებისა და პროზის უკვდავების წყაროს. ვაჟას მადლმოსილ შემოქმედების ნიშნობრივი მხარეა ლექსში რომ ვკითხულობთ: „დაგვლულს მინდორს ვაცოცხლებ, თან ვეუბნები ნანასა; ბალახს გავმართავ წელშია, თავს ავუმაღლებ ყანასა..."

ვაჟამ გაგვაცოცხლა, წელში გაგვმართა და თავი მაღლა აგვაღებინა დიდსა და პატარას იმითი, რომ გაგვაცნო მთა, ხელის-გულივით გადაგვიშალა მთის ავი და კარგი, ცხადი გახადა ჩვენთვის მთიელ ქართველების სულის მშვენებანი, შეგვასისხლხორცა და განუყრელად შეგვადუღა კავკასიონის ქედის კლდე-ღრეებში და ღადა-ღუდეებში მცხოვრებ თუშ-ფშავ-ხევსურებთან. თუ ვაჟამდე ეს თემები ყველას ბეჩავებად, ველურებად და ტყის ნადირებად გვყავდა წარმოდგენილი, ვაჟამ სულ ახალი შუქით გაგვინათა იგინი, საუკეთესო მამულისშვილებად წარმოგვიყენა მთის მკვიდრნი და ამით ახალი ქვეყანა შეგვძინა, თუ შეიძლება ასე თქმა - სულიერი ტერიტორია გაგვიფართოა, გამოგვიხსნა იმ ბეცობისაგან, რომლის გამოისობითაც მთიელებს ვერ ვამჩნევდით.

დიდია ვაჟა, როგორც მგოსანი; მომხიბლავია, როგორც მძლავრი სიტყვიერების ქურუმი, მაგრამ მთიელთა ცხოვრების გაშუქების მხრივ, გარდა ალექსანდრე ყაზბეგისა, ვერც ერთი ქართველი მწერალი ვერ ამოუდგება მას გვერდში. ამ შემთხვევაში ვაჟა სვეტია, რომელიც მთელი ადლით სჭარბობს ქართველი მწერლების გუნდს. ეს დიადობა ვაჟასი ორმაგდება იმ გარემოებით, რომ ვაჟასაგან შეყვარებული ხევსური თუ თუშ-ფშაველი იგივე ქართველია სულით და გულით, ვაჟას მთიელიც იმასვე ეტრფის და შენატრის, რაც სანატრელია ყოველი პატიოსანი ქართველისათვის; ვაჟას გმირებსაც ის უხარიანთ და ის ადარდებთ, რაც ახარებს ანუ რაც ადარდებს ქართველი ერის ნამდვილ გმირებს. ვაჟა ჭირისუფალია მთელი ქართველი ერისა და არა რომელიმე თემისა, სამშობლოს რომელიმე კუთხისა, განსაზღვრული ხევისა. ვაჟა **„შანაა სოფლისა"** და ეს სოფელი მას ესმის მთელ საქართველოდ. აკი ამ ბოლო დროს დიდსა და პატარას საქართველოში ვაჟასკენ ჰქონდა მიმართული ყური და გონება, ვაჟას აზრსა და შეხედულობას იზიარებდნენ, როგორც ზეშთაგონებულს ვაჟას სიტყვას აფასებდნენ ბაჯაღლო ოქროდ.

სწორედ ახლა იყო ჩვენთვის საჭირო ისეთი შუქმფენი მოძღვარი და ერისადმი სიყვარულით მგზნებარე წინასწარმეტყველი, როგორიც იყო ვაჟა-ფშაველა. მაგრამ დახე ჩვენს

უბედურებას და უიღბლობას! სწორედ დიდი გაჭირვებისა და საშიში კრიზისის განცდის ჟამს გვეცლება ხელიდან უმთავრესი გზის მაჩვენებელი; საშინელი კრიზისის განცდის დროს ჩერდება იმ გულის ცემა, რომელშიაც სალოცავად ესვენა მარტო სამშობლო; ახლა გადატყდა შუაზე ის კალამი, რომლის ნაწერებიც გმირებად ჰქმნიდა მკითხველებს.

ვაჟას გარდაცვალების გამო მთა და ბარი ერთმანეთს ეჯახებიან, ყველანი შეწუხებულნი და აზრიალებულნი ვართ, არ გვინდა დავინახოთ, რომ ვაჟა კუბოში ასვენია, ვაჟა გარდაიცვალა, ვაჟა დაგვეკარგა. მაგრამ რაც უნდა ბევრი ვიტიროთ, რაც უნდა თმები ვიგლიჯოთ და პირი ვიფხოჭოთ, ვაჟას მაინც ვეღარ გავაცოცხლებთ, ვაჟას სიკვდილი სინამდვილეა და , გვსურს თუ არა გვსურს, ამაში უსათუოდ უნდა დავრწმუნდეთ. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ასეთმა სამწუხარო სინამდვილემ არ უნდა დაგვჯაბნოს, გული არ უნდა გაგვიტეხოს და არავინ არ უნდა ჩაგვაყენოს სასოწარკვეთილებაში. მომეტებული ნაწილი ჩვენთაგანი მთის შვილები ვართ და არა ერთხელ გვინახავს, რომ ზვავად მოხეთქილ დიდ მთას შეუჩერებია მდინარე, გაუწყვეტია მისი მთლიანობა, გაუშვრია მისი კალაპოტი. მაგრამ ყველა ეს ყოფილა მხოლოდ დროებითი: მდინარეს მაინც თავისი უქნია, ბოლოს მაინც გადუხეთქია ზვავი, გაუჭრია ხორგი, უპოვნია გასავალი, აღუდგენია თავისი მსვლელობის მთლიანობა და კვლავინდებურად ისევ აუხმაურებია მიდამო. ასე იქნება ახლაც. ულმობელმა ზვავმა ქვეშ დაიტანა ის, ვინც უკვდავების ნექტარს გვასმევდა, მაგრამ ნექტარი მაინც ისევ აჩქეფდა ჩვენში, რადგან ვაჟას ნაწერებს დღეიდან უფრო გაუმრავლდება მკითხველები, თანდათან ეს ნაწერები უფრო დიდ რიცხვს გაუჯდება ძვალსა და რბილში; ვაჟას ნაწერები უთუოდ დაბადებენ ვაჟას საკადრის მემკვიდრეებს, რომლებიც ბოლოს ვაჟასებურ ისევ აახმაურებენ და გამოაღვიძებენ საქართველოს მთასა და ბარს.

განისვენე გულდამშვიდებით სამშობლოს უებარო გუშაგო, და გწამდეს, რომ შენი კურთხეული მარჯვენით ნათესი ყანა ჩქარა დაპურდება, ჩქარა გაგიჩნდებიან სულიერი მემკვიდრენი და ისინი ჩამოგძახებენ სამარეში: - გაიხარე და დასტკბი, ჩვენო დიდო მოძღვარო, შენი სათაყვანო სამშობლო აყვავდა, გაძლიერდა,

იყავნ, იყავნ!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

საქართველო. – 1915. – N153. – 27 გიორგობისთვე. - გვ.3.

წრფელი ხმა ქართველ მაჰმადიანთა შესახებ

ქართული პრესა და საზოგადოება დიდს ფიქრსა და საგონებელში არიან ჩაბმულნი ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. პრესა და საზოგადოება ერთხმად აღიარებენ, რომ ქართველი მაჰმადიანების ხსნა სწავლა-განათლებაშიაო. კარგი და პატიოსანი! თუ ესეთი მზრუნველობა ჩვენს მოძმე მაჰმადიანებზე უბრალო ამჩატებისა და წამიერი გატაცების შედეგი არ არის, თუ მართლა საქმედ გვინდა ვაქციოთ ის, რასაც დღეს ვწერთ და ვლაპარაკობთ სამაჰმადიანო

საქართველოს შესახებ, მოდი, მთელი ქართველობიდან, რომლის რაოდენობა ორ მილიონს მაინც უდრის, შევჯგუფდეთ ხუთასი კაცი, თვითეულმა ჩვენგანმა ერთ-ერთს ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს ხოლმე ყოველ წლივ ოც-ოცი მანეთი იმ დანიშნულებით, რომ შემდგარი თანხა მოხმარდეს ქართველ მაჰმადიანთა შვილების საშუალო სასწავლებელში აღზრდას.

სანამ ქართლ-კახეთი და იმერეთი თავის წიაღზე, თავის მკერდზე, საკუთარ მიდამოზე და კალთებზე არ აღზრდიან ქართველ მაჰმადიანობის ახალ თაობას, მანამ მაჰმადიანი ქართველები ვერ იქნებიან ჩვენთან შემოერთებულნი სულითა და გულით, თავიანთი არსებობის ყველა ძარღვებით და სხეულის ყველა ნაწევრებით. მოზარდმა ქართველმა მაჰმადიანობამ უნდა განსაზღვრული დრო იტრიალოს ქართულ ქალაქებში და სოფლებში, ქართულ ოჯახებში, ქართულ ქორწილში და ტირილში, ქართულ კალო-გუთანზე და რთველში, რომ მთელი არსებით ეზიაროს ქართველობას. ამისთვის კი აუცილებელია მაჰმადიანთა შვილების შაბმა იმ პიტალო ქართველებში, რომლებსაც შეგნებულ მუშაკებად ურაზმავენ სამშობლოს თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიები.

სარბიელი წინ გვიდევს და, თუ სიკეთის გარიგება გვსურს, ნუ მივიმალ-მოვიმალებით აქეთ იქით.

ჩემის მხრით ახლავე ვუდგენ ოც მანეთს ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის დამაარსებელ წევრს ე. ს. თაყაიშვილს.

ვსთხოვ ქართულ გამოცემებს ამ ბარათის გადაბეჭდვას.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

საქართველო. – 1917. – N59. – 15 მარტი. - გვ.2.

სიტყვა ეპისკოპოს ლეონიდესი,

მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში წარმოთქმული 12[25] მარტს

მადლი, კურთხევა, წყალობა ღვთისა და მდაბალი სალამი თქვენდა, ყოვლად პატიოსანნო ჩემო თანამემებო, ივერიის ეკლესიის მღვდელმთავრ-მოძღვარნო! მადლი, კურთხევა, წყალობა ღვთისა, ტკბილი და დაბალი მღვდელმთავრული სალამი თქვენდა, საქართველოს ეკლესიის საყვარელნო ძენო და ასულნო.

უმაღლესად ბედნიერი ვარ, რომ განგებამ წილად მარგუნა გაზიარება თქვენთან ერთად ამ ჩვენი დედა ეკლესიის სახურავის ქვეშ იმ დიადი სიხარულისა, რომელის განცდითაც გაბრწყინვებულ-გაშუქებულია დღეს მთელი რუსეთი. საყვარელნო მსმენელნო! მდგომარე წლის გაზაფხულის პირი ოქროს დიდრონი ასოებით ჩაიწერა რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში და ეს ახლად დაწერილი კაბადონი რუსთა ცხოვრების ისტორიის უბრწყინვალეს ფურცლად დარჩება საუკუნოდ. ამ გაზაფხულის ბრწყინვალე მზის სხივებმა გაალხვეს,

დაადნეს, ორთქლად აქციეს ჩრდილოეთისათვის ჩვეულებრივი მეტად სქელი თოვლი და ამ გამქრალ თოვლს თან გაჰყვა თვითმპყრობელობითი, მონარქიული მართვა-გამგეობა სახელმწიფოსი, მართვა-გამგეობა, რომელიც სულს უხუთავდა ყველა მოქალაქეს, ხუნდებს ადებდა დიდს და პატარას ხელებსა და ფეხებზე, ცივი თოვლივით სუსხავდა, აჭკნობდა, ხშავდა და ძირიან-ფესვიანად ანადგურებდა ყველაფერს, რითაც კი ლამაზი, საყვარელი და მიმზიდველია კაცის ცხოვრება. რუსეთის ძლიერმა ერმა ძირს დასცა, შემუსრა, სამუდამოდ დამარხა მონარქიზმი და ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ სამხიარულოდ აამოძრავა, აახმაურა, გაზაფხულის ადიდებული მდინარესავით, ააზვირთა და ჩვეულებრივის ცხოვრების კალაპოტი დაატოვებინა მას. საერთო მხიარულებაა რუსეთის უზარმაზარ ქვეყნის ყოველ კუთხეში, ქალაქებსა და სოფლებში ფრიალებენ წითელი დროშები, ხალხი უმღერის თავისუფლებას, ხალხი ზეიმობს მონობის ბორკილების დამსხვრევას, ხალხი შეჰღაღადებს თავისი განახლების სალოცავ ხატს.

ბედნიერ რუსის ერის მაყრიონის მძლავრმა გუგუნმა ჩვენამდინაც მოაწია და ქართველებიც გულსავსებით ვიზიარებთ ამ დღესასწაულს; საქართველოს ქალაქებისა, დაბებისა და სოფლების მკვიდრნიც აღფრთოვანებით ეგებებიან რუსეთის განახლებას. ყველა ჩვენგანი უკვე ეზიარა ერის ზეიმს თავის მშობელ ქალაქსა და სოფელში, თავისი ცხოვრებისა, თუ სამსახურის ადგილზე, მაგრამ მაინც ვერ გავმძღარვართ სიხარულით და ახლა აქ, ყველასაგან მივიწყებულ მცხეთაში, მოგვიყრია თავი დღესასწაულის გადასახდელად.

უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ სასიხარულო მოვლენა და ამბავი მაშინ უფრო ღრმავდება, მეტ სიმძლავრეს იძენს და მეტად სწვდება კაცის გულს, როდესაც უკანასკნელი განიცდის სიხარულს თავის საკუთარ ჭერს ქვეშ, თავისი მშობლებისა, ნათესავებისა, მეზობლებისა და მეგობრების წრეში. მცხეთა ჩვენი ეროვნების დასაბამის აკვანია, ემბაზია ქრისტიან ქართველობისა, სვეტიცხოველი საერთო სულიერი დედაა ქართველებისა და იმიტომაა, რომ ამ საყოველთაო სულიერი შვება-ლხენის დღეს ყველამ მოვაშურეთ ამ ჩვენის სულისა და გონების საკუთარ საგანძურს, რომ მხურვალეთ დავუკოცნოთ ამ ჩვენს მოხუც დედა-ტაძარს ტკბილი დედობრივი ძუძუები და მით გავაღრმავოთ ჩვენი სიხარული.

აქ, აი ამ ობლად მზირალ საფლავის ქვეშ განისვენებს ჩვენის ერის სიქადული, ასპინძის ომის გმირი, უკვდავი პატარა კახი. როგორც ვიცით, მეფე ერეკლემ პირობა შეკრა რუსეთის დედოფალ ეკატერინესთან. ამ პირობით რუსეთი და საქართველო იწოდბიან მოკავშირეებად, რუსეთს მხოლოდ დახმარება უნდა გაეწია საქართველოსთვის, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, რჩებოდა თავისუფალ და დამოუკიდებელ სამეფოდ. მაგრამ არ გაუმართლა ერეკლეს მოლოდინი, რუსეთის მეფეებმა გადალახეს მათგანვე ხელმოწერილი აქტი, საქართველო გამოაცხადეს უბრალო გუბერნიად და ქართველ ხალხს დაადგეს, მძიმე უღელი მონობისა. ას ჩვიდმეტის წლის განმავლობაში ქართველ ერს აღარ გასთენებია სასიხარულო დღე და ამის გამოისობით ცეცხლი ეკიდებოდა ერეკლეს ძვლებს დღევანდლამდე, მის სულს მოსვენება ჰქონდა დაკარგული. დღეს ჩვენი ერის სულის ამომხდელი მონარქიზმი დაიმსხვრა და ვისთვის უნდა გვეხარებინა ეს ამბავი, თუ არა ერეკლესათვის! გაიხარე სულით და მოასვენე შენი ძვლები, ქართველი ერის დიდო გუშაგო, ჩვენო პატარა კახო! გაქრა მთელის რუსეთის მბორკავი ძალი!

მაგრამ შენ ხომ უბრალო შურის მაძიებელი არ იყავი, შენ ხომ შენი ერის თავისუფლება და ბედნიერება გწყუროდა, გაიხარე საფლავში: უკვე ირეკება სამხიარულო ზარი შენის ერის

დამოუკიდებლობის აღდგენისა! გარს შემოვრტყმივართ ამ შენს საფლავს იმ მიზნით, რომ აქ დავდვათ ქალმა და კაცმა წმიდა ფიცი საყვარელი სამშობლოს აღდგენისა, დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებულ მართვა-გამგეობით. მეტსაც გახარებთ: აქამდინ რომ მწარედ იტანჯებოდი და თვალი ვერ გაგესწორებინა ამ წმიდა სვეტისთვის, რადგანაც მისი დამცირებისა, გარატაკების და დაუძლურების მიზეზად შენს თავსა სთვლიდი, რადგანაც პირველმა შენ გადადგი ნაბიჯი იმ მეფეებისკენ, რომლებმაც საქართველოსთან ერთად ეკლესიაც შეგიბღალეს, დღეს აღდგენილად, თავისუფლად და დამოუკიდებლად აცხადებს თავის თავს; დღეიდან სწყვეტს ყოველგვარ დამოკიდებულობას რუსის სინოდთან და ეყრდნობა მხოლოდ და მარტოოდენ, თავის საკუთარ თავს!

ძმებო და მოქალაქენო! დღეს პირველად შესრულდა ამ დიდებულ ტაძარში წირვა სწორედ იმ წესით, როგორითაც სრულდებოდა მის დამოუკიდებლობის დროს და მით ჩაედგა მტკიცე საფუძველი მისი თვით არსებობისა.

დღეიდან ინიშნება დროებითი მმართველობა განთავისუფლებულ ეკლესიის საქმეების მწარმოებლად და დაიდგინება ოქმი, რომ არჩეულ იქმნეს არა შორეულ მომავალში საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიის კათალიკოზი.

გავიტანოთ ეს ამბავი ჩვენს ქვეყანაში კიდითი-კიდე, ვაცნობოთ იგი ჩვენს ერს და დანიშნულ დროს საქართველოს ყოველ კუთხიდან, საინგილოდან დაწყებული შავი ზღვის ნაპირებამდე, წარმოვიყვანოთ წარმომადგენლები, როგორც სასულიერო, ისე საერო წოდებისა, რომ აქ, ამ დედაეკლესიის წიაღში, მათ ხმა მისცენ საყოველთაო, ფარული, სწორ კენჭის ყრით მას, ვისაც ერი ისურვებს კათალიკოსად. აქ ხმა ერისაგან გამორჩეულს ღმერთიც თავის არჩეულად სცნობს.

მირონის მადინებელო სვეტო ცხოველო! შენ სცხე მირონი ჩვენგან დაწყებულ საქმეს და მიეც გამარჯვება საქართველოს თავისუფალ ეკლესიას. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდე

საქართველო. – 1917. – N67. – 24 მარტი. - გვ.1-2.

სიტყვა

წარმოთქმული პირველად ქართულად წირვის დროს

სიონის ტაძარში მარტის 19-სა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ოო, რა ძნელი და აუტანელია, როდესაც მშობელი დედა და მისი მოსიყვარულე შვილები მოწყვეტილნი არიან მეორისაგან გაუკითხავ ძალმომრეობით! რაზომ საძნელო და სამძიმოა გათვალისწინება დედის გულში აგუზგუზებული ცეცხლისა და საკირესი, როდესაც

იგი ხედავს, რომ შვილებიც ბევრი ჰყავს და დიდათაც უყვართ მათ თავიანთი მშობელი, მაგრამ გადამთიელთა უხეში ძალა სასტიკად უკრძალავს მათ თავიანთი მშობელი დედის სახელის ხსენებას. რა აუტანელი ტანჯვა და წამებაა მგრძნობიარე პირისათვის გათვალისწინება იმისი, რომ უგულო და პატიოსნება დაკარგული მოძალადენი დღე მუდამ, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ წამს და ყოველ შემთხვევაში იმას ჩასძახოდნენ, იმას აგონებდნენ, იმას უნერგავდნენ, იმას ასწავლიდნენ ქართველი ეკლესიის შვილებს, რომ მათ დაევიწყებინათ მშობელი დედის ენა, ხელი აეღოთ დედის ზნე-ჩვეულებებზე, შეეძულებინათ დედის სახე, გადასდგომოდნენ, სათაკილოთ და სასირცხოდ მიეჩნიათ მშობელი ეკლესიის ჯვარიც, ხატიც, სახარებაც და ღვაწლით შემოსილნი წმიდანებიც!

სისხლი გვიშრებოდა ყველას ძარღვებში, როდესაც ვხედავდით ფეხ-ქვეშ თელვას სათაყვანო დედის მანდილისას, ცეცხლად აღვენთებოდით, ჩვენი წმიდათა წმიდანის დამცირებას რომ შევყურებდით, მაგრამ თავ ზეით ძალა არ გვქონდა, სიმწარისაგან ერთს გავიბრძოლებდით და მერე ქედს ვიხრიდით ტლანქის ძალის წინ!...

გარნა ქვეყნიერობაზე არაფერი არა ყოფილა რა გაუთავებელ-დაუბოლოებელი. იმ ქვეყნიურმა ძლიერებამ, რომელსაც ხალხი ჰქვიან, ნაცარმტვრად აქცია რუსეთის სახელმწიფოში ძალმომრეობის დვრიტა, სხვათა ჩაგვრის ფესვი, სვეტ-ბურჯი მონობისა - მონარქიზმი, და საქართველოს ეკლესიის შვილებმაც თავისუფლად ამოვისუნთქეთ, ქართველებმაც, 12[25] მარტს, მცხეთაში, სარწმუნოებრივი მონობის ბორკილების ნამსხვრევები გავაყოლეთ მტკვრისა და არაგვის ზვირთებს ზღვის უფსკრულში სამუდამოდ ჩასამარხად, სწორეთ იმგვარათ, წარმართობის მიმდევარმა ჩვენმა წინაპრებმა რომ ამავე მდინარეებს გააყოლეს კერპთაყვანისმცემლობის ტალახი.

დღეს ჩვენი ეკლესია თავისუფალია. დღეიდან ქართველს აღარა გადაეღობება რა, რომ მშობლის ენაზე ილოცოს და ადიდოს ღმერთი. ქართველი ერის ნამუსი, ქართველი ერის სინიდისი აღარ შეიბოჭება აღარავითარის ხუნდებითა და ბორკილებითა.

თუ აქამდინ შინაურებშიაც და უცხოელებშიაც სარწმუნოებრივ გულციობაში თავს ვიმართლებდით იმით, რომ ძველი მთავრობა ეკლესიას ამსახურებდა არა სარწმუნოებრივ მიზნებს, დამხობილ მმართველობას ეკლესია დაესახა ფარულ პოლიციის მოვალეობათა განმახორციელებელ დაწესებულებად, ეკლესიის სახელით მოგვთხოვდნენ გადაგვარება-გადაშენებას, ახლა, როდესაც ყველა ამ უკუღმართობას ბოლო მოეღო, როდესაც ჩვენს სინიდისს შემბოჭველი ხუნდები ჩამოეხსნა, მშობელ ეკლესიას რომ კვლავინდებურად ისევ შორიდან უყუროთ, ამას იქით ჩვენი სალოცავები რომ წირვა-ლოცვის დროს წინანდებურად ისევ ცარიელები დარჩნენ, მქადაგებელ ქართველ მოძღვარს, რომ ყოველთვის საკმაო მსმენელები არ ეყოლოს, ამას არ შეგვინდობს მშობელი ეკლესია, ეს დაგვამცირებს, ღირსებას დაგვიკარგავს და პატივს აგვყრის ყველა მეზობლებისა, ნაცნობებისა, მოკეთეებისა და მტრების თვალში, დღეის ამას იქით ჩვენი ეკლესიები სწორედ ისე უნდა იყვნენ ხოლმე ავსილნი მორწმუნეთაგან, როგორც ამ წამს ავსილი და გაჭედილია ეს ჩვენი უძველესი სალოცავი. ჩვენში უნდა გაიღვიძოს ღვთის მმოსაობამ, მძლავრად უნდა იფეთქოს სარწმუნოებრივმა გრძნობამ. დღეს, რაკი ჩვენი ეკლესია საკუთარ თავს მიეყრდნო, ქალმა და კაცმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ, მდიდარმა და ღარიბმა უნდა უსათუოდ გულით შევიყვაროთ იგი, დავუახლოვდეთ მას, ყურმახვილად ვიყოთ მის მოძღვრებაზე და

განვახორციელოთ ჩვენს მოქალაქობრივ ცხოვრებაში ურთიერთისადმი ქრისტეანული სიყვარული და სათნოება.

ეს დრო ჩვენი საჯარო გამოცდაა. დღეიდან რუსებიც, ბერძნებიც, სომხებიც ჩვენ დაგვიწყებენ ცქერას - ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ ქართველები ეკლესიის თავისუფლებასო, მართლა დაუბრუნდებიან ეკლესიას, მართლა გულით შეიყვარებენ და შეითვისებენ იგინი სახარების მოძღვრებას, გაფაქიზდებიან და აღმაღლდებიან ზნეობით, თუ მათი ცხოვრება ისევ ძველის გზით განაგრძობს დენას და ეკლესიის განთავისუფლება ოდნავადაც არ უცვლის ფერს ქართველთა სარწმუნოება-ზნეობრივ ფიზიონომიასო. ნურავის ნუ მივცემთ, ძვირფასნო მსმენელნო, იმისი თქმის საბუთს, რომ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ ეკლესიური თავისუფლებით...

მაგრამ არც მარტო წირვა-ლოცვაზე უკლებლივი სიარული კმარა. არა, დაკოდილი და დაჩაგრული გული ჩვენის ეკლესიისა გამთელდება და გაიხარებს იმ შემთხვევაში, თუ ყველანი ქართულის ენით ვისაუბრებთ, ქართულ ენას გავამეფებთ როგორც ოჯახში, ისე გარეთ, თუ მთელი ჩვენი ცხოვრება იქნება ქართულ ხასიათისა და იერისა, თუ შევითვისებთ სამშობლოს წარსულს, ვიცხოვრებთ სამშობლოს ბედნიერებისათვის, ქართულ მიწა-წყალის დაცვა-შენახვას აღვიარებთ ჩვენის მოქალაქობის უსაღმრთოეს ვალად. რატომ? იმიტომ, რომ დღეს განთავისუფლებული ეკლესია დაფუძნდა, აყვავდა და გაძლიერდა საქართველოს ტერიტორიაზე და მომავალშიაც აუცილებლად ამავე ტერიტორიაზე უნდა ებჯინოს, საქართველოს ნიადაგის სიღრმეში უნდა ედგას ფესვები, ამ ქვეყნის მზის სხივებით უნდა იცოცხლოს, უნდა ირწყოს ამავე ქვეყნის მდინარეებით და საქართველოს ჰაერით უნდა ისულდგმულოს მან.

როგორ მოხერხდება ყველა ეს, თუ ჩვენ, თავისუფალი ეკლესიის შვილები, მოქალაქობრივად ისევ მონებად დავრჩებით, თუ ისევ სხვის თვალებში შემაცქერალნი ვიქნებით, თუ თვითონ ჩვენ არ გავხდით ჩვენი ბედის გამჭედნი, თუ მთელი სამშობლო არ გავანთავისუფლეთ. თავისუფალი ეკლესია მონობაში მყოფი ერით, დამეთანხმეთ, არაბუნებრივი მოვლენაა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ეკლესია ვერასოდეს ვერ აყვავდება, ფრთებს ვერ გაშლის და ძირს ვერ მოიმაგრებს. თავისუფალი ეკლესია თავისუფალ ერშიო, - აი, რას გვიკარნახებს ეს ჩვენი დღევანდელი კრება, აი რას გადმოგვცემენ ეს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ძველი ხატები.

ქართველო ერო, ჩემო სანატრელო სამწყსოვ! ყურად ვიღოთ განთავისუფლებული ეკლესიის დედობრივი ძახილი. ფიცი და აღთქმა დავდოთ ქალმა და კაცმა, რომ მსხვერპლად შევეწირებით საყვარელ სამშობლოს და სულ მოკლე დროის განმავლობაში თავისუფალ ეკლესიას გვერდში ამოვუყენებთ თავისუფალ საქართველოს.

იყავნ! იყავნ!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

საქართველო. – 1917. – N70. – 29 მარტი. - გვ.1-2.

საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის სამღვდელოებას

და ერს მადლი და კურთხევა სულისა მიერ წმიდისა.

საყვარელნო! ღვთის მადლით რუსეთსაც ეშველა. რუსეთშიაც ჩამოჰკრა თავისუფლების სამხიარულო ზარმა. ერის მრისხანებამ ერთის დაკვრით გააქრო და კვამლივით მიმოფანტა ძველის მთავრობის ხსენება, სახელი, ძალა და გავლენა, იმ მთავრობისა რუსეთის მკვიდრთ რომ გასაქანს არ აძლევდა და სიცოცხლეს უმწარებდა. დღეს თავისუფლად სუნთქავს მთელი რუსეთი.

ჩვენც, ქართველებსაც ამოგვიშუქა თავისუფლების ცისკარმა. ბრწყინვალე რევოლუციის მეოხებით მიმდინარე თვის მეთორმეტე [25] რიცხვიდან ქართველთა ეკლესია უკვე თავისუფალი და დამოუკიდებელია. მაგრამ ამ დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ განმტკიცება და ფესვების მომაგრება სჭირდება: საჭიროა, რომ განახლებულ ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ხელთ იგდოს ყველა საეკლესიო დაწესებულებანი, გამოიმუშაოს ახალი ორგანიზაციები და ეკლესიის ცხოვრების თვითეულ მხარეში შეიტანოს სასიცოცხლო წესწყობილება. დროებითი მმართველობა ეკლესიისა დაუღალავად შრომობს, დღე და ღამ ჰქმნის ახალ ფორმებს სამოქმედოთ, მაგრამ ეს საქმე არც იმდენად მარტივია, რომ შესაძლო იყოს ერთის კვირის განმავლობაში ყველაფრის გარიგება, ყველგან უცბად მოწყობა ახალის ორგანიზაციებისა და სხვა.

საეკლესიო დროებითი მმართველობა შეწუხებულია იმ გარემოებით, რომ ალაგ-ალაგ სამღვდელოებას და ხალხს აღარ მოუცდია მმართველობის დირექტივების გამოცხადებისათვის და თვითონ გადაუყენებია მღვდლები, გამოუცლია კეთილმოწესეები, გაუნთავისუფლებია საეპარქიო დაწესებულების მოხელენი და სხვა. ერთი სიტყვით, მიუთვისებია ის უფლებანი, რაც მმართველობისა და მღვდელთმთავრის უპირატესობას შეადგენს. მღვდელთმთავარიც და საეკლესიო დროებითი მმართველობაც სავსებით იზიარებენ სამღვდელოების შემადგენლობის გაწმენდის აუცილებლობას, მხოლოდ უსათუოდ დრო უნდა იქნეს ამისთვის შერჩეული, ეხლა კი საფიქრებელია, რომ სამღვდელოებაში უკმაყოფილების ნაპერწკლის გადასროლით მტრები არ გავუმრავლოთ ეკლესიის განთავისუფლების საქმეს და მით ხელი არ შევუწყოთ ამ საქმის მოწინააღმდეგეთა ბანაკის გაძლიერებას. ამიტომ, როგორც მე, ისე დროებითი მმართველობა საქართველოს ეკლესიისა გულსმოდგინედ ვთხოვთ სამღვდელოებას და მორწმუნე ერს იქონიონ ცოტაოდენი მოთმინება, მოუცადონ ჩვენგან სოფლად და ქალაქებად ორგანიზაციების დაარსებას, სანამ არ გამოგვიქვეყნებია საკუთარი დირექტივები, ნუ ინებებენ დადგენილების გამოტანას მღვდლებისა და თანამდებობის პირთა დასჯა-დათხოვნის შესახებ, ნუ ასწეწავენ ეკლესიის არსებულ წესწყობილებას.

ძმებო და შვილებო! ვისარგებლოთ დიდებულის მომენტით, ერთ წამსაც ნუ დავკარგავთ წვრილმან და საპირადო საქმეებზე, ეკლესიასთან ერთად სამშობლოც შევმოსოთ

თავისუფლებით, სამშობლოსაც მოვუპოვოთ ტერიტორიალური ავტონომია. ამას შევეწიროთ ზვარაკებად, ამას შევალიოთ ყველამ ძალა და უნარი!..

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდე,

ეპისკოპოსი გურია-ოდიშისა.

28 მარტსა, 1917 წელსა.

ქ. თბილისი.

საქართველო. – 1917. – N97. – 6 მაისი. - გვ.3-4.

თამარობა

ეპისკოპოს ლეონიდეს სიტყვა თქმული დიდუბის ეკლესიაში

სრულიად საქართველოს თავისუფალი ეკლესიის სახელით სულით და გულით მოგილოცავთ, ძვირფასნო ივერიის ეკლესიის ძენო და ასულნო, ჩვენს უდიდეს დღესასწაულს - თამარ წმიდობას. თამარ მეფე ცხრა თვალა მოკაშკაშე მზე იყო, არის და ამადვე დარჩება სამუდამოდ საქართველოსთვის. თამარის სახელის გაგონება სიამით უვსებს გულს ყოველ ქართველს. რაც კი რამ სასახელო, თავმოსაწონი და გამოსაჩენი მიგვიღია წინაპართაგან, პოლიტიკურია ეს თუ კულტურული, ყველაფერს ამას ვაწერთ თამარ მეფეს.

მაგრამ საოცრებაა! უკანასკნელ წლებამდე ჩვენ, ბარელი ქართველები, თვით თბილისის მოქალაქენი, ვერ ვხედავდით ჩვენს მზეს-თამარს, არ ვასრულებდით მის ხსენებას, არ ვიკრიბებოდით, როგორც ამ ჟამს, თამარის სახელის გარშემო. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და თუ გნებავთ, მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც, თამარის სახელი თუ იხსენებოდა მხოლოდ მთაში, მივარდნილ და დაბეჩავებულ ფშავში. ეს იყო შედეგი უკვე ანდერძ აგებული და სამუდამოდ დასამარებული რუსეთის ძველი მთავრობის ვერაგული პოლიტიკისა, იმ მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც მოურიდებლად აფათურებდა ხელებს ჩვენისთანა პატარა ერების გულში და ხუნდებს ადებდა მათს ენას, გონებას, სინიდისს, რომელიც აწარმოებდა ერთა გადაშენების და გადაგვარება-გადამახინჯების საზიზღარ საქმეს. მაგრამ წყვდიადსაც დასასრული ჰქონია, ადრე თუ გვიან სიბნელეც აუცილებლად გაბნეულა. იქუხა თავისუფლებამ განახლებულ რუსეთში და მისმა მეხმა თვალის დახამხამებაზე მტვრად აქცია მონობის ბორკილები, ყველამ ენა აიდგა, ყველა გაიმართა წელში და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ახლად აღმოცენებულ თავისუფლების წყალობაა, რომ დღეს ასეთი ხალისით და აღფრთოვანებით ვზეიმობთ საქართველოს დაუჭკნობელი მშვენების - დედა თამარის - ხსენებას. შესანიშნავია, რომ მეფე თამარის ხსენება ცოცხლდება ჩვენში იმ დროს, როდესაც საერთოდ მეფეებმა დაკარგეს თავიანთი სხივი, დიდება და ბრწყინვალება, როდესაც მეფეთა ტახტი თითქმის ყველგან შეირყა და დაიმსხვრა. რას ნიშნავს ეს ჩვენი დღესასწაულობა? იქნება იგი შეუფერებელი და შეუსაბამოა დღევანდელი მომენტისა? იქნება ასეთი ჩვენი საქციელი უკან გადადგმული ნაბიჯია? არა;

ჩვენი ზეიმობა სრულებით აზრიანი და საბუთიანია. მეფეც არის და მეფეც. ხალხის სიბრძნე ამბობს „გულს გული მსიწვდება და სულს სული იცნობსო.“ თამარ მეფეს გული უცემდა მხოლოდ ქართველი ერის ბედნიერებისათვის, თამარ მეფე სუნთქავდა და ცოცხლობდა მხოლოდ და მარტოოდენ იმისთვის, რომ საქართველო აეყვავებინა, ქართველი ერი დაეწინაურებინა, თავისი ქვეშევრდომნი აევსო შვებითა და ნეტარებით. ერმა ალღო აართვა თამარის გულისთქმას, ქართველობას გულზე მოხვდა თამარის დედობრივი ზრუნვა, სულით იგრძნო უსაზღვრო ჭირისუფლობა თამარისა და ამის გამო სათაყვანებელ ხატად ჩაისვენა სამუდამოდ გულში თავისი მეფის სახე, ფიანდაზად დაეგო მას და სალოცავად დაუდო ჩამომავლობას მისი ხსენება. თამარისთანა ერის მოსიყვარულე და სამშობლოს ერთგული, შეიძლება, დღესაც არ მოიპოვებოდეს არავინ ქვეყნიერობაზედ და ჩვენი თავის მოჭრა იქნებოდა, ჩვენი შეუგნებლობა დამტკიცდებოდა, რომ თავი არ მოგვწონდეს ამ სახელით, საჯაროდ რომ არ ვამჟღავნებდეთ ასეთი პირისადმი ჩვენს უგულითადეს პატივისცემას.

წმიდა თამარმა მოკლე და ნათელი ანდერძი დაგვიტოვა ქართველობას, ანდერძი სულ ორი მუხლისაგან შემდგარი და დაწერილი ჩვენი სამშობლოს პირზე ისეთი ძეგლებით, როგორც არიან, ერთის მხრით, განსაცვიფრებელი ვარძია, ბეთანია, ოცინდაგლე და, მეორე მხრით, უთვალავი ციხე-კოშკები, ხიდები, გზატკეცილები, გრანდიოზული არხები და სხვა. ამ ანდერძით წმიდა თამარი უბრძანებს თვითეულ ქართველს: გიყვარდეს ყველაზე პირველად ცისა და მიწის გამჩენი ღმერთი, ნურაფერს ნუ დაიშურებ მისთვის და იცხოვრე მისდა სასახელოდ, მისდა საამოდ, მისდა სადიდებლად და, მეორე მხრით; მტლად დაედე, თავს შემოევლე, ენაცვალე, თვალის ჩინად აღიარე და სიცოცხლე შესწირე სამშობლოს, შენი ქვეყნის მთლიანობას, აყვავებას, კეთილდღეობას და თავისუფლად არსებობას. ამ ორს დებულებას ნურასოდეს ნუ ჩამოაშორებ ერთიმეორეს თორემ, როგორც ყოველი ცალმუხლი კაცი საპყარი, მახინჯი და სხვის სარჩენია, ისე უღვთო, ამ მამულის უსიყვარულო ადამიანი დარჩება მახინჯ და ყველასათვის გამოუსადეგარ არსებად. ასეთია ანდერძი დიდი თამარ მეფისა და ვისაც მისი პიროვნება გვიღირს რამედ, ეს ანდერძიც ამოჭდეული უნდა გვქონდეს გულისფიცარზედ, ეს ანდერძიც საღმრთო მცნებად უნდა გვქონდეს მიღებული ცხოვრებაში.

თამარის დროის საქართველო იყო უფლებამოსილი და დამოუკიდებელი, განათლებული და მდიდარი ქვეყანა. ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენი ქვეყნის განათლება არც დღეს არის დავიწყებული. ჩვენს სასიქადულო და საამაყო მანდილოსნებს მიზნად დაუსახავთ აღუზარდონ სამშობლოს შეგნებული მასწავლებელი ქალები და ამ მიზნით იგინი აგროვებენ დღეს ყულაბებით შეწირულებას მათ მიერ დაარსებული ქალთა სემინარიის საშუალებათა გასაძლიერებლად. ვინც ნამდვილი პატივისმცემელია წმიდა თამარისა, ის გვერდს არ აუხვევს დიდად პატივცემულ მანდილოსნებს და ხვედრი წვლილის გაღებით გაუქრობელ სანთელს აინთებს საქართველოს განათლების ეროვნულ შანდალზედ.

როგორც მოგახსენეთ, თამარის დროის საქართველო იყო დამოუკიდებელი, თვითარსი და თავისუფალი. თუ გვსურს თამარის სულის გახარება, უნდა ზვარაკებად შევეწიროთ დიდი და პატარა და კვლავ შევმოსოთ სამშობლო სანატრელი თავისუფლებით. ღმერთო გვაშორე მონობა და დაუყოვნებლივ მოჰბერე შენს მმოსავ ქართველს ერს ხელმწიფებრივი თავისუფლება!

ძმებო და სულიერო შვილებო! ამ ტაძრის ეზოში განისვენებენ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ მამულის განთავისუფლების ქადაგებას სიტყვით და საქმით - დიმიტრი ბაქრაძე, დავითი და ეკატერინე სარაჯიშვილები, გოგებაშვილი, ცხვედაძე, ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვები. მივიდეთ მათ წმიდა საფლავებზე და ჩავსძახოთ, რომ აღსდგა საქართველოს ეკლესია და ჩქარა აღსდგება მთლად საქართველოც!...

ეპისკოპოსი ლეონიდი

საქართველო. – 1917. – N143. -მკათათვის 4[16]. - გვ.3.

მისალმება

თქმული ამიერკავკასიის ბანკის კურთხევაზე

მკათათვის 2-ს

ნება მიბოძეთ სულით და გულით მოგილოცოთ, მოქალაქენო, დიდებული საქმის დასრულება. ხვალიდან ჩვენს ქვეყანაში ფეხს აიდგამს უმაღლესი მნიშვნელობის ახალი დაწესებულება; ხვალიდან ჩვენ შორის დაიწყებს საამო ჩხრიალს ანკარა და სიცოცხლის ჩამდგმელი წყაროს ძლიერი ნაკადი.

ბუხარი მაშინ ავრცელებს თავის გარშემო მეტ სითბოს, როდესაც იგი გაჭედილია ცეცხლმოდებული შეშით. აგრეთვე ერი მაშინ იჩენს სიცხოველეს თავისი მოქმედების ყოველ მხარეში, მაშინაა ესა თუ ის ერი აყვავებული ვაჭრობა-მრეწველობით, მეურნეობა-ტექნიკით, ცოდნა-განვითარებით და ყოველგვარი კულტურული ფაქტორებით, როდესაც ადვილად ეშოვება მას ფული, როდესაც მისთვის იოლია კრედიტით ხელის მონაცვლება, როდესაც საჭირო სესხში არ იხდის უდიერ სარგებელს და მსხვერპლად არ ხდება უწყალო ჩარჩისა, როდესაც ერს მოეპოვება ბანკი, - ისეთი დაწესებულება, რომლის დაარსების სადღესასწაულოდ შემოკრებილხართ ამ ჟამად აქ მყოფნი.

მტიკეცეთა მჯერა, რომ ძვირფასი ამიერ-კავკასიის მხარე ამ ბანკის მეოხებით არა-შორეულ მომავალში გარდაიქმნება კულტურულ შვეიცარიად: იგი კიდით-კიდემდე დაიქსელება საუცხოვო გზა-ტკეცილებით და რკინის გზის ლიანდაგებით, მის მთავარ მდინარეებში დაიწყებენ გედებივით ყელ-ყელაობას პატარ-პატარა გემები, ამაყი კავკასიონის ქედის გულში აფუთფუთდებიან ჩაქუჩითა და სატეხით ხელში ძვირფასი მადნეულობის საძიებლად ტექნიკოსების ლაშქრები, ღვთის კალთა-დაბერტყილ მინდვრებზე, ეხლა რომ ზანტად მიიზლაზნება რვაუღელა გუთანი, უსათუოდ დაიწივლებს ორთქლით მოქმედი ტრაქტორი და ორთქლითვე მომუშავე სამკალ-სათიბ-სალეწ-სანიავებელი მანქანები დაავიწყებინებენ ჩვენს მუშას დღევანდელ ბლაგვ ნამგალს, ულოს, კოხიან კევრს, თავბრუს მომგვრელ კალოს და იმ აუტანელ წამებას ჩვენში რომ ნიავობას უძახიან. დღეს დღეობით უნიათო, უსიცოცხლო და ყოვლად მოუწყობელი ჩვენი ქალაქები, ჩქარა მოიფშვნეტენ თვალებს, ზღაპრული სისწრაფით დაიწყებენ ზრდას, გარდაიქმნებიან გონიერი ვაჭრობა-

მრეწველობის ბურჯებად, დაიმშვენებენ თავებს მაღალი მეცნიერების - მოხდენით, ტაძრებით და მიიღებენ იმ სახეს, რომლითაც ასე ხიბლავენ დიდსა და პატარას ევროპის ყველა ცნობილი ქალაქები და სხვა.

დიახ, ეს ყველაფერი მოხდება ამ ბანკისა და მისგან გამოწვეული საკრედიტო დაწესებულებებისაგან და ნეტარება იმ პირთ, რომლებმაც იგი დააფუძნეს, სახელი და დიდება იმათ, რომლებსაც ერის სიყვარულმა უკარნახა ასეთი სასიკეთო საქმის განხორციელება!

მაშ უფალმა აკურთხოს ამ დაწესებულების ყველა მეთაურ-მონაწილენი და ცისა და ქვეყანის მპყრობელმა ჩვენმა ზეციერმა მამამ ჰქმნას ეს ახლად ნაკურთხი ბანკი ჩვენი ერისა და ქვეყნის აყვავება-ბედნიერების დაუშრეტელ წყაროდ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე

ეპისკოპოსი ლეონიდი.

საქართველო. – 1917. – N172. – 6[19] მარიამობისთვე. - გვ.4.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

შესხმა, თქმული აგვისტოს 3[16]-ს სამადლობელო პარაკლისის გადახდის წინ რუსეთის დროებით მმართველობის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამტკიცების გამო

მოძღვარნო ქრისტესნო, სულიერნო შვილნო, ქრისტეს მიერ დედებო და დებო! დასტკბით, გაიხარეთ, აღფრთოვანდით და ყველამ ხალისით ააჟღერეთ საღმრთო სიხარულის გულის სიმები. შესრულდა თვითეული მორწმუნე ქართველის დიდი ხნის იდუმალი გულის წადილი: გარეშეთაგან ზღაპრად ცნობილ-მიჩნეული ქართული ეკლესიის თავისუფლება, მართალია, შეცვლით, ჩვენ რომ გვინდოდა არა სრულებით იმ სახით, მაგრამ მაინც უკვე არსებული ფაქტია დღეს; ივერიის ეკლესიის თვითთაობამ, თუმც შეკვეცით, მაგრამ მაინც ხორცი შეისხა; მკათათვის ოცდახუთ რიცხვს რუსეთის დროებითმა მმართველობამ დაადასტურა ჩვენი ეკლესიის კონსტიტუცია და ეს ამბავი ციური ზარის ჩამორეკვით ეფინება საქართველოს.

დღეიდან ჩრდილოეთი ვეღარ გასჭედავს ქართველი კაცის სინიდისისა და რწმენისათვის შემზარავ ხუნდებს, დღეიდან სვეტიცხოველში, სიონში, ალავერდში, გელათში, მარტვილში და სხვაგან ალაგი აღარ ექნება უცხო ენაზე მღვდელთმსახურებას და ქადაგება-მოძღვრებას, ამიერიდან ქართველი ეკლესია ხელახლა შეექსოვ-შეედუღა პირველსა და მეორე ანტონ კათალიკოსთა დროინდელი ეკლესიის სხეულს და, ცხადია, ამის შემდეგ თავისთავად გასცვივა მას ის ზღმურდლები, რომლებითაც იგი ასე დასახიჩრებულია დღეს უცხოელთა საზიზღარი გავლენის მიზეზებით. ეს ქართველთა საყვარელი სიონი, გუშინ ლეჩაქ-ახდილი და შეურაცხყოფილი, დღეიდან, ივერიის საუკუნითგან მფარველის

ღვთისმშობლის მეოხებით ხელახლა შეიმოსავს სახელსა და დიდებას, სამშობლო ენაზე სასოებიანი წირვა-ლოცვით და მოძღვრება-ქადაგებით გულს გაგვითბობს დიდსა და პატარას და სულ ჩქარა შემოგვიკრებს თავის გარშემო, „ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთებთა თვისთა.“

დღეიდან ქართულ ეკლესიაში წმიდა გუნდრუკად დაეკმევა ჩვენი მნათობების - წმიდა ნინოსი, ქეთევან დედოფლისა, დავით აღმაშენებლისა, თამარ მეფისა, გაბრიელ, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მიმართულება და ამას შედეგად მოჰყვება გულადი, მხნე, განვითარებული და აზრიანი ახალგაზრდა საქართველო.

დღევანდელისთანა დღის შექმნას შეეწირნენ ზვარაკებად ფილადელფოს კიკნაძე - შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონი, ცნობილი მწიგნობარ-მგალობელი არქიმანდრიტი ტარასი და უკეთილშობილესი ქართველი დიმიტრი ყიფიანი. ამ დღეს ნატრულობდნენ და უგალობდნენ გრიგოლი და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი და რაფიელ ერისთავები, დიდი ილია ჭავჭავაძე, უკვდავი აკაკი და სხვ.

ჩვენ, ჩვენ გვარგუნა განგებულებამ საღმრთო წილად ჩვენი ბეთლემის გამობრწყინების ამბის გაგონება და ხილვა და ამან გამაბედვინა თქვენი მოწვევა ტაძარში მხურვალე მადლობის შესაწირავად ზეციური მამისადმი, რომ ღირსგვყო ესოდენი ბედნიერებისა.

მაგრამ ეკლესიის განთავისუფლებით ჩვენ პირველი ნაბიჯი გადავდგით თავისუფლებისაკენ, ნისკარტი ვკარით და მარტო გავბზარეთ ტლანქი ნაჭუჭი მონობისა. თავისუფლებას მოკლებულ სამშობლოში თავისუფალი ეკლესიის მდგომარეობაც საბრალისია. ამიტომ დიდმა და პატარამ ნათლად შევიგნოთ, რომ დღეიდან ამ წმიდა ნინოს სხივმფენი ჯვარის მუდმივი ჩვენდამი ძახილი იქნება ის, რომ ჩვენმიერ განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ სამშობლოში ეკლესიას ურღვეველ ზღუდედ და გალავნად გარს შემომავლოთ პოლიტიკურად თავისუფალი საქართველო.

ისმინეთ ესე, სამშობლოს ძენო და ასულნო, და მიყავით ყური თქვენი!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

საქართველო. – 1917. – N175. - მარიამობისთვის 10[23]. - გვ.3.

კათოლიკოსის მოსაყდრე გორში

სიტყვა:

პარასკევს, 28 მკათათვეს, გორის საკათედრო ტაძარში

[ფრაგმენტი, გადმოცემით ჩაწერილი]

მე მოგიტანეთ ფრიად სასიამოვნო ამბავი: ეს ჩვენი ეკლესიის განთავისუფლება, ჩვენი ავტოკეფალობის აღდგენაა. ბევრმა არც კი იცის დიდმნიშვნელობა ამ აქტისა; არ იციან არამც თუ უბრალო მომაკვდავებმან, არამედ იმ პირებმაც, რომელნიც საზოგადოების

მებაირახტრეთ გამოდიან. მიზეზი ამისა კი ჩვენი მონობაში აღზრდაა, რადგანაც საუკუნო მონობამ უნარიც კი წაგვართვა, რომ ყოველნაირ თავისუფლების მოვლენას შესაფერი ანგარიში გავუწიოთ.

ქრისტიანობას, როგორც სარწმუნოებას, კულტურა და პროგრესი თან დაჰყვება, და თუ რუსეთში ეს უკანასკნელი არ იყო, ეს იმიტომ, რომ იქ არც ნამდვილი აღმასრულებელნი იყვნენ ქრისტეს მცნებებისა. ინგლისი, როგორც ასეთი დაწინაურებული სახელმწიფოა, კულტურის და ნივთიერის მხრით, სადაც ხალხი უმორწმუნესია...

ეპისკოპოსი ლეონიდი.

საქართველო. – 1918. – N12. – 16[29] იანვარი. - გვ.3.

სიტყვა ნინოობას

ჩემო უგულითადესნო ძმებო, დებო და სულიერო შვილებო! დღეს წმიდა ნინოობაა! დღეს ჩვენი განმანათლებელის, ჩვენი საკუთარი მოციქულის ნეტარი ნინოს ხსენების დღეა!

„წმიდა ნინოობა“ - რა ბევრი და ნათელი რამაა ჩაწნულ-ჩაქსოვილი ქართველისათვის ამ ორ სიტყვაში: რა ღრმა და ფართოა თავისი შინაარსით ეს ორი სიტყვა ქართველი ქალისა და მამაკაცის გონებისათვის! რა საამო და სანეტარო ტალღების ჩქეფას იწვევს გაგებული ქართველის ძარღვებში წმიდა ნინოს ხსენება!

როგორც „ქრისტე აღსდგა“! ყველაფერია ღვთის მმოსავი პირისათვის, ისე „წმიდა ნინოობა“ ყველაფრის მთქმელი და გამომხატველი, მაცოცხლებელი სითბო და სინათლეა მორწმუნე ქართველისათვის.

ნუ იფიქრებთ, რომ აღებული ორი სიტყვის შინაარსი შეავსოს და გააღრმაოს თავისი სიტყვით რომელიმე მჭერმეტყველმა მქადაგებელმა. არა საუკეთესო და უმჭერმეტყველესი ქადაგება დღეისათვის არის სადა განცხადება - ხარება იმისი, რომ წმიდა ნინოობას ვდღესასწაულობთო.

მეც სწორედ ამგვარად მოვიქცეოდი, მეც ამ წმიდა ამბიონიდან მარტო გახარებდით ნინოობას და არ გავკადნიერდებოდი მოძღვრების წარმოსათქმელად გამოსვლით, რომ დღევანდელი წმიდა ნინოობა ხაზ-გასასმელი, დიდად საყურადღებო და არსებითად განსხვავებული არ იყოს წარსული წლების ნინოობისაგან.

კვლავაც, როგორც დღეს, იანვარს სავსე ყოფილა ეს ჩვენი უძველესი სამლოცველო ქართველი მლოცველებით, დღევანდელ დღეს ბევრჯერ, თავისუფალი დასადგომი ალაგი რომ ვერსად უპოვნიათ, თვით ამ სამღვდელმთავრო ტახტზე გადმომდგარან ქართველი მნათობნი ილია ჭავჭავაძე, აკაკი და მათ გარშემო არსებული მწერალთა გუნდი, კვლავაც ვით დღეს, ქართულად შესრულებულა აქ საზეიმო მღვდელმსახურება, მაგრამ მღვდელმოქმედნიც და მლოცველნიც შიშით ყოფილან მოცულნი, ყოველთვის რიდი ჰქონიათ. ჩვენებურად რომ ვხდილობთ დღესასწაულს, ეკლესიის გამგე არ გაგვირისხდესო!

მახსოვს, მეტად მკაფიოდ და ცხადად მახსოვს, წმინდა ნინოს პარაკლისის გათავების შემდეგ, ცხონებული აღნიაშვილის გუნდი ეროვნულ კილოზე მრავალჟამიერის გალობას რომ განაგრძობდა ხოლმე, როგორი მითქმა-მოთქმა იმართებოდა მლოცველთა შორის: „ნეტავი ყველაფერმა მშვიდობიანათ ჩაიაროს, ნეტავი ამ გალობის გამო ჩვენს მღვდელმთავარს უსიამოვნება არ შეხვდეს ექსარხოსისაგანო“ და სხვა.

დიახ, ასე შეზღუდულნი ვიყავით წარსულ წლამდე ჩვენს საუკეთესო და საღმრთო გრძნობებში, ასე უფლება-აყრილებად ვგრძნობდით ჩვენს თავს ათი თვის წინეთ წმიდა ნინოს სხივმფენი სახის გამოხატულების წინაშე!

ჩვენი საღმრთო დედის მეოხებით ახლა ეს საზიზღრობა, ეს ბარბაროსული შელახვა ჩვენი უსაღმრთოესი გრძნობებისა გამქრალი და კვამლივით გაფანტულია სივრცეში. დღეს ჩვენი ეკლესია თავისუფალია ისე, როგორც თავისუფალი იყო ას ჩვიდმეტი წლის წინეთ, ჩვენი ეკლესიის ცხოვრების მიმდინარეობა ჩამდგარია თავის ბუნებრივ კალაპოტში და თუ რამე გაარისხებს, რამე გულს ატკენს და დასწვავს მის მესვეურს, მის დღევანდელ თავს და გამგეს, ეს მოხდება მხოლოდ და მარტოდ მარტო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მშობლიო ეკლესიას ვინმე შეეხო უკადრისად, თუ ვინმე იკადნიერებს ჩვენს წმიდა წმიდათაში ხელების ფათურს, თუ ვინმე გაბედავს ჩვენი სარწმუნოებრივი გრძნობის შეურაცხყოფას...

ას ჩვიდმეტი წლის შემდეგ დღეს პირველად ვეცხადებით ჩვენს სულიერ დედას, ჩვენს მოციქულს ნინოს თვინიერ მამინაცვლისაგან აღებული „პასპორტისა,“ ეს პირველი ნინოობაა, რომ ქალი და კაცი შვილებრივი თავისუფლებით ვეამბორებით ჩვენი სათაყვანებელი სულიერი დედის თმებით შეკონილ ცხოველ-მყოფელ ვაზის ჯვარს.

დიახაც რომ სახარბიელო საგანძურია ასეთი თავისუფლების შეძენა! ოღონდაც რომ ზეიმი და სულიერი სიხარული გვმართებს დღეს დიდსა და პატარას მშობლიო ეკლესიის ტყვეობიდან გამოყვანის გამო!

გარნა ეს თავისთავად უდიდესი ბედნიერება თვალსაჩინოდ ღრმავდება და ათკეცდება ჩვენთვის იმ გარემოებით, რომ თავისი განხორციელების პირველივე წამებიდან აგვინთო ყველას მთელ არსებაში გაუქრობელი ცეცხლი საყვარელი და ძვირფასი სამშობლოს აღდგენა-განთავისუფლების უსათუო მოთხოვნილებისა.

დღეს წმიდა ნინო მშობელი დედის ტრფობითა და ნაზი ალერსით გადმოგვცქერის ეკლესიური თავისუფლების შარავანდედით მოსილ თავის შვილებს, მაგრამ მისი მხიარულება არაა სრული და სავსებითი. იგი იდუმალი ჩაგონების საშუალებით გვახვედრებს ქალსა და კაცს, რომ თავისუფალი ეკლესია ბედნიერი და დღეგრძელია მხოლოდ თავისუფალ ერშიო, თავისუფალ ეკლესიას ფესვების შორს გასადგმელად და ტოტების ფართო მანძილზე გადასაშლელად ნიადაგიც, ტერიტორიაც, სამშობლოც საკუთარი, უდაო, თავისუფალი და ხელმწიფებრივი უპირატესობებით მოსილი უნდა ჰქონდესო. დღეს წმიდა ნინოს ჩვენდამი მომართული ძახილი ასეთია: „შვილებო! ეკლესიის განთავისუფლებით თქვენ მხოლოდ ნახევარი საქმე გაარიგეთ და მეც მარტო ნახევრად გამითბეთ გული; თუ გსურთ სრულ-ჰყოთ ჩემი სიხარული და გინდათ დამიმტკიცოთ ნამდვილი შვილობა, აღადგინეთ თქვენი ძვირფასი სამშობლო, ცოცხალ ზღუდეთ შემოევლეთ ტურფა ივერიას, მტკიცე სვეტებად აღმართეთ საქართველოს საზღვრებზე,

გაანთავისუფლეთ იგი პოლიტიკურ-სოციალურად, საფუძვლად დაუდეთ თქვენს მოქალაქობას ძმობა, ერთობა და სიყვარული, მოქარგეთ თქვენი სამშობლოს ლამაზი სახე მრავალგვარი სასწავლებლებით, გაიწვრთენით უმაღლეს წერტილამდე ვაჭრობა-მრეწველობაში და ტექნიკა-მეურნეობაში, შეიქმენით მძლავრ ერად და მაშინ, მხოლოდ მაშინ გავიხარებ სავსებით, მაშინ გცნობთ სასიქადულო შვილებად, მაშინ გახდება სრულ საქმედ ეკლესიის განთავისუფლება.“

საყვარელნო! ან ახლა, ან აღარა დროს! ნუღარ გავაწამებთ ჩვენს საღმრთო დედას მისი გულისთქმის ჩვენგან განხორციელების ხანგრძლივი ლოდინით!

მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1917. – N261. – გიორგობისთვის 26[9]. - გვ.4.

მოწოდება

თბილისის მორწმუნე მოქალაქეთადმი

მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა იესო ქრისტესი, ღვთივ სათნო ჩემო სულიერნო ძენო და ასულნო თბილისის მოქალაქენო!

პირველი მორწმუნე, რომელიც ჩვენს დედაქალაქ თბილისში საღმრთო მსხვერპლად შეეწირა ქრისტეს და მის სახარებას, იყო „თვალი მოწამეთა“ აბო.

აბო საკუთარი წმიდანი, საკუთარი მცველი და მეოხია თბილისისა. წმიდა აბოს ხსენება გამეფებული უნდა იყოს თბილისელთა შორის. თბილისის მორწმუნე მოქალაქე, ქალია იგი თუ ვაჟი, ვაჭარი თუ ხელოსანი, მხედარი, სწავლული, უვიცი, მდიდარი თუ ღარიბი, უნდა განსაკუთრებით პატივს-სცემდეს წმიდა აბოს სახელს და განუშორებლად ატარებდეს მის ხსოვნას. თბილისელ ქრისტიანებს თავი უნდა მოჰქონდეთ, რომ განგებისაგან დასაჩუქრებულები არიან საკუთარი ციური მეოხებით და ამ უპირატესობას, ამ მაღალ თავიანთ წარჩინებას თვალსაჩინოდ უნდა გამოსთქვამდნენ და გამოხატავდნენ კიდეც.

სამწუხაროდ, ვერავითარს ამის მსგავსს თბილისელ მორწმუნეთა ცხოვრებაში ვერ ვამჩნევთ. თბილისს დღევანდლამდე არ მოეპოვება ეკლესია თავისი საკუთარი მეოხის სახელობაზე!

კმარა დაუდევრობა, დროა გამოვისყიდოთ მძიმე დანაშაული და შეერთებული ძალღონით ახლა მაინც აღვმართოთ ეკლესია იმ ალაგზე, სადაც წმიდა აბოს სისხლი მირონად ეცხო თბილისის ნიადაგს!

დაიმედებული, რომ ყოველი მორწმუნე თბილისელი განსაკუთრებული სიხარულით გაიღებს ხვედრ წვლილს ასეთი წმიდა საქმისათვის, ამ თავითვე მივუძღვნი ყველას

მღვდელმთავრულ ლოცვა-კურთხევას და ვაუწყებ შემომწირველთ, რომ წმიდა აბოს სახელზე ეკლესიის აშენებისთვის შემოწირულობათა მიღება დავალებული აქვთ ჩემგან დარიის მონასტრის ხაზინადარს მღვდელმონაზონს სერაფიმეს და თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს გრიგოლ ფერაძეს, გაბრიელ ჩაჩანიძეს და ალექსანდრე დათუკაშვილს.

თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1918. – N37. – 15[28] თებერვალი. - გვ.3-4.

მიტროპოლიტ ლეონიდეს მოწოდება

თბილისის ეპარქიისადმი ქართლის ხოცვა-ჟლეტის გამო

მიტროპოლიტი ლეონიდი, მონა და მსახური უფლისა იესო ქრისტესი, მორწმუნეთა მაგათ შვილთა თბილისის ეპარქიისათა: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

დიდად შესანიშნს და საგულისხმო დროს წარმოადგენდა ჩვენთვის, ჩემო საყვარელო სულიერო ძენო და ასულნო, წარსული წელიწადი. შარშანდელმა თებერვალმა რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა მოქალაქენი და მათ შორის ქართველებიც დაგვასაჩუქრა თვითმპყრობელობის სრული დამსხვრევა-დამხობით, იმავე წლის მარტის თორმეტს მორწმუნე ქართველობამ დიდებულ სვეტიცხოველში მონობის მძიმე ბორკილი ჩამოხსნა ივერიის მრავალტანჯულ სამოციქულო ეკლესიას და, ბოლოს, ენკენისთვის ჩვიდმეტს სრულიად საქართველოს ეკლესიის ღვთივ განბრძნობილმა პირველმა კრებამ სიონის ბრწყინვალე ტაძარში ქართველი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევით მოაშორა მშობლიო ეკლესიის გვამს უცხო მფლობელობის არაბუნებრივი ზედნაშენი - ექსარხოსობა.

და ყველაფერი ეს იყო წინამზადება ჩვენი ძვირფასი სამშობლოს გაერთიანებისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივად აღდგენა-განახლებისათვის. ამ მხრივაც წლის განმავლობაში იმდენი რამ გარიგდა, რომ გიორგობისთვის 19-ს შესაძლო გახდა მოწვევა ჩვენს დედაქალაქში დიდი ეროვნული კრებისა, რომელზედაც სხვათაშორის, ქართველმა თავად-აზნაურობამ მილიონებად ღირებული ქონება, თავის სურვილით და ნებისყოფით დასდო „ფერხთა თანა“ ქართველი ერისა. ამ კრებამ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩააბარა ეროვნულ საბჭოს, დღეს ქართველები მისულები ვართ საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის წამამდე და სწორედ ამ კრებამ უნდა გაგვითენოს ბრწყინვალე აღდგომა, ამ კრებამ უნდა მოგვანიჭოს დათრგუნვა ჩვენი სამშობლოს პოლიტიკურ-სოციალური მონობისა, მან უნდა ყველას ქუდი დაგვხუროს და ჩვენი ერი უფლებამოსილ ერად ჩაწეროს თავისუფალ ბედნიერ ერთა სიაში.

შვილებო! ის ქრისტიანი არაა და მისთვის არც ბრწყინვალე აღდგომა თენდება, ვინც ამ მადლიანი დღისათვის გულს არ ირეცხავს მომმეთადმი მტრობა-ჩაგვრის გრძნობებისაგან,

ვინც თავის მეზობელს ძმად არა სცნობს. ვისაც ამ დღეს ბუნება არ სთხოვს ყოველი ადამიანის შეტკბობას, მამა-შვილურად, ნათესაურად და ძმურად გულში ჩაკონებას და ამბორისყოფას ვინც ამ სანატრელი დღესასწაულისათვის იმდენად გარემოცულ-ანთებული არაა მოყვასთა სიყვარულის ცეცხლით, რომ თავი დასდოს სხვების ბედნიერებისათვის, ვინც სხვებს არ ენაცვლება, არ განათბობს და წამლად არ დაედება.

ამგვარივე გრძნობებით, ამგვარივე სულიერი განწყობილებით, ამგვარივე აღფრთოვანებით და ურთიერთისადმი მხურვალე თანაგრძნობით უნდა მივეშურებოდეთ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი სამშობლოს აღდგომის ბრწყინვალე ცისკარზე განურჩევლად სქესისა და ასაკისა ყველა, ვინც-კი ქართველის სახელს ვატარებთ, ვინც ქართველთა მიწაზედ დავდივართ, ვისაც ქართველი დედის ძუძუ გვიწოვია, ვისაც საქართველო სამშობლოდ მიგვაჩნია, ვის ძარღვებშიაც ქართველი მოდგმის სისხლი სჩქეფს.

მარტო წყეულისა და ღვთის პირისაგან შეჩვენებულის სატანას ხელობაა ძმათა, ნათესავთა და მეზობელთა შორის უსიამოვნებისა, მტრობისა და განხეთქილების ცეცხლის ანთება, იმ დროს როდესაც უკანასკნელნი ჭირს უნდა სჭამდნენ ერთიმეორეს, მხარში უნდა უდგნენ ერთურთსა და ერთად სჭედდნენ სამშობლოს ბედნიერებას.

ქორწილში ძმათა შორის მტრობა-სიძულვილის, გესლის ნთხევა და მოწვეულთა ხოცვა-ჟლეტვა გულში ლახვრის ჩაცემაა გვირგვინის ქვეშ მდგომი მეფისა.

აგერ ყველანი მომზადებულვართ სამშობლოს დასაქორწინებლად დღე-დღეზე ვეპირებით დიდი და პატარა მყარად გამოსვლას, გვინდა თავისუფლების გვირგვინი დავადგათ საყვარელ სამშობლოს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ძვირფასნო, რომ ამას შევძლებთ, ამას შევასრულებთ, ამას განვახორციელებთ მხოლოდ და მარტო მაშინ, როდესაც ერთისა და იგივე სულთქმითა და გულის ცემით ვიქნებით გამსჭვალულნი, ერთი და იგივე მოყვასთადმი საღმრთო სიყვარულის ცეცხლი გვენთება ყველას გულში, როდესაც მეფე-სამშობლოს ოჯახში არავინ არ იქნება აკლებულ-აწიოკებული, მეფე-სამშობლოს ყურს არ შელახავს ვისიმე გმინვა-ტირილი, მეფე-სამშობლო არავის თვალზე არ დაინახავს მწარე ცრემლების მდუღარე ნაკადულს, მეფე-სამშობლოს საქორწილო ტანისამოსის გულისპირი დალაქავებული არ იქნება ვისიმე სისხლით, თავით-ფეხამდე შეიარაღებულ მეფე-სამშობლოს მაყრებს თოფის წამლის ერთი მარცვალიც არ ექნებათ დამწვარი მოძმეთა დასასახიჩრებლად, ერთი ტყვიაც არ ექნებათ გაფუჭებული მოძმის დასაჩაგრად, არც ერთის მაყრის წელზედ არ აღმოჩნდება მოყვასის სიცოცხლის მოსასპობად მოქნეული ხმალი და ხანჯალი.

მაგრამ რა ამბები ხდება ჩვენს გარშემო! რის მოწმენი ვხდებით ყოველ დღე! რას ვკითხულობთ გაზეთებში და რა ცნობები მოგვდის სამშობლოს ყოველ კუთხიდან! გაცხარებული მოსისხლე მტრებივით დავრევივართ ერთი-მეორეს და სოფლად თუ ქალაქად, შინ თუ გარეთ, გზაში თუ მინდორში, მარტოობაში თუ ჯარში გაუკითხავად ვჟლეტავთ და მუსრს ვავლებთ ჩვენსავე მოძმეებს მამაკაცებს, დედაკაცებს, უძლურ მოხუცებულებს და უდანაშაულო ბავშვებს, რაღაცა გიჟურის გატაცებით ვარბევთ ერთი-მეორეს, ვიკლებთ ურთი-ერთის კარ-მიდამოს, ვაჩანაგებთ მეზობლების ვენახებს, მინდვრებს, ხეხილის ბაღებს და ტყეებს, ვბუგავთ და ცეცხლით ვინელებთ ათვალისწუნებული პირების სახლებს და ნაოფლარს და სხვადასხვა... აღარ მესმის, ქრისტეანები ვართ, თუ ხორცშესხმული ბოროტი სულები!

ვაი მე! ვაი მე! როგორღა წარმოგიდგე და მოგახსენო, მაცხოვარო ჩემო, საშინელი განსჯის დღე: აჰა, მე და ყრმანი, რომელნი მამცნა მე ღმერთმან!

მუხლმოდრეკით გევედრებით და ცრემლთა ფრქვევით გთხოვთ კაცნო ძმანო! შესდექით, გონს მოდით, გაიგეთ, რომ დღევანდელი თქვენი საქციელით ნაკვერცხალსა ცეცხლისასა იკრებთ თავსა ზედა თქვენთა, დღევანდელი თქვენი ურთერთის კბენა და ჭამა გაანადგურებს და ძირიან-ფესვიანად ამოაგდებს თქვენს მოდგმას და ჩამომავლობას...

გაიხსენეთ მცნებანი ღვთისა: **„არა კაც ჰკლა," „არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არც ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა (სახედარი) მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა არცა ყოველისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა." (ბ. მოს. კ. იზ.)**

შვილებო! ეს არის ბრძანება ჩვენი გამჩენი-მბრძანებელისა, ჩვენის სულის ჩამდგმელის ღვთისა და თუ მასაც არ დაუჯერეთ, თუ იმისიც არ შევისმინეთ, იმასაც გადავუდექით, დავღუპულვართ სულითაც და ხორცითაც, ხელიდამ წაგვსვლია სამშობლოც და ბრწყინვალე მომავალიც!

საყვარელნო! **გაფრთხილდით რომ ბრმა იარაღად არ გიხმაროთ ბოროტმა სულმა, არამც და არამც არ შეცდეთ და ყური არ ათხოვოთ უღმრთო კაცების ქადაგებას, არ გაჰყვეთ ურწმუნო პირების სიტყვებს და არ დაჰღუპოთ სათაყვანებელი სამშობლო, განთავისუფლების მაგიერად ჯოჯოხეთის ჯურღმულად არ აქციოთ იგი.** ყური ათხოვეთ, შეიგნეთ და გულის ფიცარზე დაიწერეთ: **„ესრეთ იტყვის უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქვს კაცისა მიმართ, და განიმტკიცოს ხორცი მკლავისა თვისისა და უფლისაგან განსდგეს გული მისი." (იერ. 17,5).**

ვინც კაცზე ამყარებს იმედებს, მარტოდ-მარტო საკუთარ მკლავზე, საკუთარ თოფზე და ხმალზე ეყრდნობა და ღმერთს ივიწყებს, წყეული იყოსო, ბრძანებს უფალი და აბა, ჩვენ რაღა გვეთქმის, რითი შეგვიძლიან ამ საშინელების დაფარვა?

მაგრამ, ძვირფასნო! განა წაქცეული აღარ უნდა ადგეს? ერთხელ გადამცდარი გზიდამ აღარ უნდა ცდილობდეს ისევ სწორე გზაზედ დადგომას? ნუ, სულიერო ძმებო და დებო, სიმრავლე და სიმძიმე ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვებისა ნუ მიგვიყვანს სასოწარკვეთილებამდე, შევიგნოთ დანაშაულობა, სინანულის ცრემლებით მოვიბანოთ ჩვენ მიერ დახოცილი მოძმეთა სისხლი, ნამდვილი პატრონობა და მშობლობა გაუწიოთ დახოცილთა ქვრივ-ობლებს. დავუბრუნოთ ყველას ძალადობით წართმეულ-მითვისებული, ნუ შეეხარბებით, რაც ჩვენს საკუთრებას არ შეადგენს. დავკმაყოფილდეთ ყველანი ჩვენი პირადი პატიოსანი ოფლითა და გამსჯელობით შეძენილს, გვიყვარდეს და გვებრალებოდეს ყოველი კაცი, იმდენად, და ისე, როგორც ჩვენი თავი, დავადგეთ ღვთის მცნებათა გზას ცხოვრებაში და უფალიც შეგვინდობს, ჩადენილ ცოდვებს, ზეციერი მამაც ისევ გულს მოიბრუნებს ჩვენზე, კვლავ მოწყალე თვალით შემოგვხედავს და გაამართლებს თავის დაპირებას: „უკეთუ გინდოდეს და ისმინოთ ჩემი, კეთილნი ქვეყანისანი სჭამნეთ." (ისაია. 1,20).

მაცხოვარმა იესო ქრისტემ გიკურთხოთ ყველას ოჯახი და სახლ-კარი, მარჯვენა და ვაჟკაცობა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გფარავდეთ ქალსა და კაცს, ყოველისა ჭირისა და

ვარამისაგან, გუნდნი ანგელოზთანი თანამგზავრ გექმნენ შინ და გარეთ მცველებად ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, წმ. ნინომ, გიორგიმ, ქეთევანმა, თამარმა, დავით და კონსტანტინემ, აბომ, რაჟდენმა, შალვამ, ბიძინამ, ელიზბარმა და სხვებმა ნუ მოგაკლოთ მამულის სამსახურში მშობლიური სიყვარული და მძლავრი მეოხება წინაშე ღვთისა! ამინ.

მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1918. – N57. – 15[28] მარტი. - გვ.3-4.

სიტყვა

თქმული სვეტიცხოვლის ტაძარში

ავტოკეფალიის წლის თავზე

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ადამიანთა საბედნიეროდ არსებობს საღმრთო და ძვირფასი სიტყვა თავისუფლება, რომლის მარტო გაგონება სიხარულის ფრთებს ასხავს და საამო ოცნებათა ფიანდაზად ეფინება გაგებული კაცის სულსა და გონებას. დედამიწა არ იძლევა მეორე ღირებულობას, მეორე ისეთ საუნჯეს, რომ გვერდში ამოუდგეს, დაედაროს და შეეფარდოს თავისი მნიშვნელობით თავისუფლებას. ძვირფასია, მაგალითად, სწავლა-განათლება, დიდი ბედნიერებაა ჯანსაღობა და დღეგრძელობა, საგრძნობელი სიკეთეა სიმდიდრე, მაგრამ თუ კაცი მოკლებულია თავისუფლებას, თუ მისი არსებობა დაფუძნებული არ არის თავისუფლების საღმრთო ნიჭზე, უქმი, გამოუსადეგარი და ყოველგვარ მნიშვნელობა-ღირსებას მოკლებულია მისთვის სწავლაც, სიმდიდრეც და ჯანსაღობა-დღეგრძელობაც.

„შევქმნად კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“-ო, ბრძანა ღმერთ-კაცის შექმნის წინ და აი სწორედ ეს ღვთისადმი მსგავსება და ხატებაა ის თავისუფლება, რომლითაც კაცი კაცობს, ის მადლიანი ძალა, რომელიც ადამიანს განაცდევინებს ქვეყანაზე მეფობას, აზიარებს უკვდავებას და მიაფრენს განუსაზღვრელი წინსვლისა, გონება-ზნეობრივი განვითარებისა და სისრულისაკენ.

ამიტომ სრულებით ბუნებრივი და გასაგებია, რომ კაცის გულსა და გონებას ასე ძალუმად სწყურია თავისუფლება და იმ ნათელ წამს, როდესაც იგი (კაცი) ხელთ გდებულობს ამქვეყნიურ საუნჯეთა შორის უძვირფასეს საღირალს, უბრწყინვალეს და უსაღმრთოეს დღესასწაულად ისახავს თავისთვის და თავისი მოდგმა-ჩამომავლობისთვის.

წელიწადი შესრულდა, ძვირფასნო, რომ სამშობლო ეკლესიის თავისუფლებას ვეზიარენით, წელიწადი გავიდა, რაც ამ დიდებული ტაძრის თაღების ქვეშ პირველად ჩავისუნთქეთ თავისუფალი ეკლესიის ჰაერი, შარშან ამ დროს იყო, რომ მორწმუნე ქართველობა, საქართველოს ყველა კუთხეებიდან მოზღვავებული ამ მამა-პაპათა

თავმოსაწონი სამლოცველოს ფართო გალავანში, მხიარულებით აფრიალებდა თავისუფლების სანატრელ დროშას, შარშან ამ დროს იყო, რომ ქართველმა სამღვდელოებამ პირველად შესწირა ამ ტაძარში სამშობლოსა და ერისათვის უსისხლო მსხვერპლი რუსეთის ეკლესიისაგან დამოუკიდებლად!

რა მოგვიტანა, რა შეგვძინა, რა გვაპოვნინა ახალი ეკლესიის თავისუფლების აღდგენამ, იკითხავს ვინმე თქვენგანი. დიდი და დრიადი მნიშვნელობის აზრთა და რწმენათა საკეთილო შეცვლა-შეფასება. თუ წარსული წლის მარტის თორმეტამდე უცხოთა ძალადობითი მბრძანებლობის გამო ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში თითქმის არავითარი უფლებრივი ალაგი არა ჰქონდა დათმობილი ეკლესიის სხეულის უდიდეს და უძლიერეს ნაწილს - ერს, თუ მრევლს ეკლესიის მეუმფროსენი შესცქეროდნენ ისე, როგორც მარტო საკრეჭ ფარას და არაფერს არ ეკითხებოდა მას, გარდა ხარჯების გაწევისა, ნაჩვენები დროიდან ძირი გამოეთხარა და ბოლო მოეღო ასეთ უკუღმართობას და ეკლესიის მართვა გამგეობაში მთავარი ალაგი დაეთმო ერის სურვილს, ერის ნებისყოფას. აქ, სვეტიცხოველში, წარსული წლის მარტის თორმეტს იმას დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა, რომ ამ დღიდან იგი დადგინდა და გამოცხადდა ეროვნული ეკლესიის სრულ უფლებიან პატრონ-ბატონად და მის დაუკითხავად შეუძლებელი გახდა ეკლესიის ცხოვრებაში რაიმე ცვლილებისა და ბრძანების გატარება, აი, რა შესძინა და რა აპოვნინა ჩვენს ერს ახალი მშობლიო ეკლესიის თავისუფლების აღდგენამ! დიდია ასეთი შეძენა და თავისი ვითარებით იგი უდრის ფრინველის კვერცხის იმ ბეჭედს, რომელიც უცდომელი ნიშანია თავის დროზე კვერცხიდან საღი ცოცხალი არსების გამოჩეკისა.

რა შედეგები მოჰყვა ცხოვრებაში ამ შეძენასო, რითი გააუკეთესა მან ჩვენი მოქალაქობაო, იკითხავს ვინმე.

ჩემდა სავალალოდ, ჩემდა სამწუხაროდ და ჩემდა გულის დასაწყვეტად, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვერაფერს სანუგეშოს ვერ ვპოვებ სათქმელად დასმულ კითხვაზე საპასუხოდ. ეკლესიის განთავისუფლებიდან არამც თუ არ ამოღებულა და არ გაუმჯობესებულა ზნეობრივად ჩვენი მოქალაქობა, პირიქით, ამ დიდებული ისტორიული ფაქტის შემდეგ ისეთ ბოროტ მოვლენათა ჰქონიათ მასში ალაგი, რომლებიც ამოურეცხელ ლაქად დარჩებიან სამუდამო და ჩვენი ზნეობის მატიანეში. ასეთია, სხვათა შორის, ის უღვთო აწიოკება, ის გაუკითხავი ძარცვა-რბევა, უმანკო ბავშვებისა, ჭაღარა მოსილი მანდილოსნებისა და მამაკაცების ის შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ჯერაც არ შეჩერებულა გორის მაზრაში რა რომელიც საშიშარი ცეცხლის ენასავით ამოხეთქავს ხოლმე ხან კახეთში, ხან დუშეთის მაზრაში და ხან იმერეთში. ბოლო წლის განმავლობაში ჩვენი საბრალო სამშობლო მოძმეთაგან დახოცილ ქართველთა სისხლის ტბადაა ქცეული და ყველანი მოძმეთა სისხლის გუბეებში დავტოვეთ! სად არის აქ ქრისტეანობა, სად არის თავისუფლება, შეგნება და გონიერება, ან ღვთის მსგავსება და ხატება კაცთა შორის?! არა, ზეიმი და დღესასწაული კი არა, უფრო შესაფერი და მართებული იქმნებოდა დღისა და ადგილისათვის, რომ დიდსა და პატარას ფერფლი და ნაცარი გადაგვებნია თავზე და, ძაძა შემოსილებს, ნიშნად ღრმა მწუხარებისა მოძმეთა ამოჟლეტის გამო, საქვეყნო გლოვა-ტირილი გაგვემართა ამ ჩვენი ერის ჭირისა და ლხინის ჭაღარა მოწამის სამლოცველოს ეზოში.

მაგრამ, რა ვიცით, საყვარელნო, რომ აქ მოსულებს სწორედ ერთი გრძნობები არ მოუტანიათ გულით ამ ღვთივ-ბრწყინვალე სვეტიცხოვლის წინ ფარულად განსაცხადებლად?

ვინ დაგვაჯერებს, რომ აქ მოსულ ქუდოსან მანდილოსნებში ზოგიერთნი მწარე ცრემლების ღვრით აღთქმას არ სდებენ სვეტიცხოვლის ქვეშ დამარხულ საუფლო კვართის წინ იმაზე, რომ დღეიდან მათი არსებობის საგნად გახდება მხოლოდ მოყვასთადმი თავდადებული სამსახური, ვინ დაგვარწმუნებს, რომ სვეტიცხოვლის წინ მდგომ მლოცველთა სიმრავლისაგან ოცისა, ოცდაათი კაცის გულს მაინც არ ეცხობა ამ წამს საღმრთო მირონი დღეიდან ღვთის სათნო და მოძმეთა სასიკეთო ცხოვრების კვალზე დადგომისა და ეს ხომ სრულებით საკმარისია ჩვენთვის, ეს ხომ მართლა სადღესასწაულო და სასიხარულოა ყველასთვის, ეს ხომ ხელახლა მოგვიბრუნებს ზეციერი მამის მოწყალე გულს, ეს ხომ უტყუარი წინდია იმისი, რომ გაის ამ დროს მოძმეთა მოსიყვარულეთა რიცხვი გაორკეცდება ჩვენ შორის, მესამე წელს გაათკეცდება და ასე ამგვარად მარად წინ ვივლით ზნეობრივ განვითარებაში, სანამ არ მივაღწევთ „ყველანი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღვთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა, რათა არღა-რა ვიყვნეთ ყრმა ჩჩვილ, ღელვა აღტეხილ და მიმოტაცებულ ყოვლისა მას ქარსა მოძღვრებისასა, სივერაგითა და კაცთათა და ზაკულებათა მანქანებისა მის მიმართ საცთუნებისა (ეფეს. 4,13-14).

უცბად და შებერვით არა რიგდება-რა. ღმერთი ღმერთია, მაგრამ ქვეყნის შექმნას იმანაც ექვსი დღე მოანდომა. ას ჩვიდმეტი წლის მანძილზე დღე და ღამ განუწყვეტლად გვთიშავდა, გვმდუღრავდა, ძვლებს გვიდნობდა, გვაფიჩხებდა, გვძრავდა და გვყინავდა ჩრდილოეთის ქვის მტეხი ზამთარი და რა საფიქრებელია, რომ ერთი წლის გაზაფხულის მზის ნაზ სხივებს გაელხვოთ და გაედნოთ სრულებით ის წარმოუდგენელი სისქის ყინული, რომლითაც შებორკილ-გადალესილია მთელი ჩვენი სულიერი არსება!

ყველას გენახვებათ, რა უმწეოთ და უაზროთ აწყდება ხოლმე მიდამოს გაზაფხულის პირზე მზის პირველი სხივებით სკიდამ გამოტყუებული, სიცივისაგან დაბუხული, ფუტკარი, მაგრამ გადის დრო, დგება ზაფხული და მადლიანი „ღვთის მუშაკიც“ დღითი დღე ფრთებს შლის, ღონიერდება, სიცოცხლის ძალით ივსება და ბოლოს ჯარასავით ტრიალს წყობილობს ყვავილებით დაფენილ ველ-მინდვრებში სკაში წასაღები თაფლისა ამოსაწუწნად.

რაკი წარსული წლის მარტის თორმეტიდან აგვეცრა სინიდისის თავისუფლების სიყვარული, რაკი რამდენიმეს ჩაგვისახა მშობლიო ეკლესიის განთავისუფლების განზრახვა, ჩვენთვინაც ყოვლისავე მიზეზის გარეშე დადგება სანატრელი ზაფხული, ჩვენც აუცილებლად გავაჩაღებთ შემოქმედებით მუშაობას, მომავალ წლებში აქ მოსულები ჩვენც გაღონიერებულები ფუტკრებივით ზნეობრივად დატვირთულები ვიქნებით თაფლისა და ცვილის მსგავსი ძვირფასი, საამო, სასარგებლო და სასახელო საქმეებით, გრძნობებით, მიმართულებით და სულის განწყობილებით.

ახლა კი ამ ჩვენი ეროვნული შარავანდედისა და სიამაყის სათაყვანებელი ერეკლეს კუბოს წინ ფიცი დავდოთ რადგანაც ჩვენს საყვარელ სამშობლოს გარეშე მტრები მოსდგომიან კარზე და აკლება დამონებით ემუქრებიან პირიდან ლუკმას გამოვიცლით, უკანასკნელ პერანგს გავყიდით, სულიდან დაწყებული ხმარებისაგან გაცვეთილ ცოცხამდე ყველაფერს სამშობლოს სამსხვერპლოზე დავდებთ და ქალი და კაცი, ხნიერი და ახალგაზრდა, ჯანსაღი და უძლური დედა სამშობლოს წინაშე იმითი გამოვისყიდით სამოქალაქო ბრძოლის წარმოებით ჩადენილ შეცოდებას, რომ მტლედ დავედებით, სამსხვერპლო ფთილებად შევეწირებით მას და ისე გულადად შევებრძოლებით მის (სამშობლოს) დასამონებლად

გამზადებულ მტრის რაზმებს, როგორც ერეკლეს დროის სასახელო ასპინძის ომის ქართველი გმირები.

დედაო ღვთისაო, გვისმინე და გაგვიმარჯვე! ამინ.

მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1918. – N93. – 17 მაისი. - გვ.3-4.

სიტყვა

წმიდა თამარ მეფის ხსენების დღეს

დღეს წმიდა თამარ მეფის ხსენებაა და ვინ იქნება ჩვენ შორის ისეთი, რომ ამ სახელის გაგონებასთან ერთად მაშინვე გონების თვალთ წინ არ დაუდგეს მაისის ვარდის ბუჩქივით საოცნებოდ გაფურჩქვნილ-აყვავებული სურათი ჩვენი საყვარელი სამშობლოსი? სადაა ისეთი ქართველი ქალი ან ვაჟი, რომ თამარ მეფის სახელმა სიტყვით გამოუთქმელ ნეტარება-ბედნიერების მძლავრ ტალღებში არ გამოახვიოს მისი გული? სად უნდა მოიძებნებოდეს ისეთი ქართველი ქალი ან ვაჟი, რომ თამარ მეფეზე არ სმენოდეს რაიმე მომხიბლავი თქმულება და აღმაფრთოვანებელი სიმღერა-ლექსი? ვინ იქნება ჩვენ შორის ისეთი, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ გამოსხმოდეს ანგელოსთა ფრთები თამარისაგან აგებულ ცის მსგავსი ტაძრების თაღების ქვეშ ლმობიერი ლოცვა-ვედრების აღვლენით? ვინ დასთვლის, რამდენნი მთელი საათობით გარინდებულ-გაშეშებულნი მდგარან ჩვენი სამშობლოს შფოთიან მდინარეებზე თამარის ბრძანებით პირდაპირ საზღაპრო გაბედულობით გადასროლილი ხიდების კამარების წინ? ვინ გამოსთქვამს, რა ნეტარება და ეროვნული სიამაყე განგვიცდია თამარისაგან აშენებულ უთვალავ ციხე-კოშკების მზერით, დღესაც რომ გაუტეხელ დარაჯად უდგანან ჩვენს მთასა და ბარსა!..

თამარ მეფე - ეს იგივე საქართველოა, ეს არის ძნა, კონა, შეერთება იმისი, რითაც საყვარელი, ძვირფასი და საამაყოა ქართველი და საქართველო. გახსენით ქართველის გული და მის სადაფის კედლებს შორის იპოვით მხოლოდ თამარის სახეს, თუ რაიმე საღმრთო იდუმალება უტარებია და ატარებს ქართველი გულით - ესაა ნატვრა და სურვილი, რომ კვლავ დაგვიდგეს წმიდა თამარის დრო, კვლავ აფრიალდეს ჩვენ შორის თამარის სვიანი დროშა, კვლავ გვირგვინად დაგვედგას თამარის დროის პოლიტიკური თავისუფლება... და აი, საყვარელნო, კიდეც ითქვა ამიერკავკასიის თავისუფლება! ჩვენმა ახალმა მთავრობამ სცნო და გამოაცხადა ამიერკავკასია თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ! დღეიდან სხვებთან ერთად ქართველებს აგვეხსნა უცხო ერთა ქვეშევრდომების მძიმე უღელი და ვართ ქვეშევრდომნი მარტოდ მარტო საქართველოსი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა და ერეკლე მეორის სამფლობელოსი!

ოო, რამდენს ჩვენს წინაპართაგანს „გული უთქმიდა ხილვად, რომელსა ჩვენ ვხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი ჩვენ გვესმის, და არა ესმა!“ (მათე. 13,17).

საყვარელნო! მე ბედნიერება მქონდა შარშან სწორედ ამ დღეს და ამ ალაგიდან მომელოცა თქვენთვის მშობლიო ეკლესიის განთავისუფლება და ას წილ ბედნიერი ვარ, რომ ახლა ამავე წმიდა ალაგიდან და თამარისავე დღეს შემთხვევა მეძლევა მოგილოცოთ დიდსა და პატარას პოლიტიკური სიკვდილისაგან აღდგომა ბრწყინვალე ამიერკავკასიისა, უპირველეს ყოვლისა კი საყვარელი საქართველოსი. ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა!

ეს სიხარული ჩვენს მიცვალებულებსაც უნდა გავუზიაროთ, ეს სასიხარულო ამბავი იმათაც უნდა ვაუწყოთ, რომლებიც სიკვდილის დროს გვიბარებდნენ ასეთი სანეტარო ჟამის დადგომის ჩამოძახებას საფლავებში, მთაში და ბარში ვახაროთ ყველა ჩვენს მიცვალებულებს, რომ თავისუფლების გვირგვინი ედგმება ძვირფას სამშობლოს. ესევე უნდა ვახაროთ, ესევე უნდა მივულოცოთ და ვაუწყოთ ჩვენი სამშობლოს თვითეულ ბუჩქს, თვითეულ ხეს, თვითეულ კლდეს, თვითეულ ველსა და ხევს, მდინარეს და წყაროს, რადგანაც ვიცით, რომ „ყოველი დაბადებული ჩვენთანა თანაკვნესოდა მოაქამომდე.“ (რომ. 8,22).

მართალია, ამ უდიდესი ზეიმობის დღეს სანატრელი სამშობლო განიცდის მწარე ტკივილებს: ბათომი ამოჭრეს მისი სხეულიდან, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში სწარმოებს ძმათა შორის ომი, ყოველი მხრიდან მოველით გარეშე მტრების შემოსევას, მაგრამ ყველა ეს მაინც ვერ ჩრდილავს დღევანდელი დღის სიბრწყინვალეს, რადგანაც ჩვენთვის უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ ის, ვინც უკვე წარმოსთქვა დიდებული სიტყვა ამიერ-კავკასიის თავისუფალი არსებობისა, სულ ადრე და მალე ჩააქრობს ომის ცეცხლს, იპოვნის მტერთან მოსალაპარაკებლად საერთო ენას და გამოსძებნის შინაურ და გარეშე მტრების ასალაგმავად შესაფერ ზომებს.

„ხმა ერისა - ხმა ღვთისაო“ და ღმერთი ხომ ყოვლად შემძლეა!

ძვირფასნო! უკვდავმა თამარმა სწორეთ ამ მიდამოებში განიცადა ის უაღრესი ბედნიერება ამ ქვეყნად, რომელსაც ქორწილს ვეძახით. აი, ამ დაუვიწყარ ალაგზე მივცეთ აღთქმა ჩვენს მშვენებას და დაულევნელ შარავანდედს თამარ მეფეს, რომ როგორც უსიკვდილოდ არავის არ დავნებდებით, რომ თავიდან ტვინი ამოგვწოვოს, ისე არავითარი სახით არ დავითმენთ, რომ ვინმემ წააქციოს, უღალატოს და ოდნავადაც გაბზაროს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმე.

გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას შენსა, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან! ამინ.

მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1918. – N105. – 31 მაისი. - გვ.1.

ახლა მაინც უსმინოთ ტანჯულ ინგილოებს!

ამ თვის ოცდასამს [ძველით] გაზეთ „საქართველო“-ში მოთავსებული იყო საინგილოს შესახებ დიდათ აღმაშფოთებელი და შემაძრწუნებელი შინაარსის მოკლე წერილი სათაურით „აოხრებული მხარე.“ სისხლით დაწერილი სტრიქონები აღნიშნული წერილისა ცეცხლის ხაზებად ჩამეჭრნენ გულში და ვიფიქრე, სხვებსაც ცეცხლად ჩაეღვენთებათ მეთქი ამ წერილის სიტყვები, საქართველოს ეროვნული საბჭო უსათუოდ ფიცხელ ყურადღებას მიაქცევს ინგილოების უღვთო რბევა-ხოცვას, ქართული მოქმედი პოლიტიკური პარტიები სისწრაფით ჩაერევიან საქმეში და გამოარკვევენ მეთქი მიზეზებს ზაქათალის ოლქის მაჰმადიანთა სასტიკი ამხედრებისას მათ მშვიდობიან მეზობელ ინგილოების წინააღმდეგ და სხვა. მაგრამ, სჩანს, წაკითხვის შემდეგ წერილი ყველას ჩვეულებისამებრ კუნჭულში მიუგდია და მისი შინაარსი დავიწყების ქარისთვის გაუტანებია!

შეუწყნარებელი და სამარცხვინო ბოძზე მისაჯაჭვია აღებულ შემთხვევაში ჩვენი გულქვაობა, უმოქმედობა და, თუ გნებავთ, მოქალაქობრივი სიბრმავე. საკირეში ჩაცვინული ინგილოები მოგვითხრობენ: არავისთვის არა წაგვირთმევიარა და ვცხოვრობთ მამა-პაპათაგან დატოვებულ მიწა-წყალზე, არავის არ ვებრძვით, ქურდობა-ავაზაკობით მეზობლებს არ ვაწუხებთ, გუთნით და ბარ-ნამგლით შეძენილი სარჩოთი ვემსახურებით ოჯახს და ქვეყანას და ვერ გაგვიგია, რათ გვარბევენ, რათ გვაწიოკებენ, რათ გვიხოცავენ ცოლ-შვილს, რათ გვინადგურებენ ოფლით შეძენილ ქონებას, რათ გვიგინებენ მამა-პაპათა საფლავებს დღევანდლამდე მეზობლურ განწყობილებაში მყოფი მაჰმადიანები! გთხოვთ და გევედრებით ჩვენს უმფროს ძმებს - ქართველებს, - გამოიკვლიეთ, გაიგეთ და შეიტყეთ, ვართ თუ არა რამეში დამნაშავე მაჰმადიანთა წინაშე და თუ სხვაფრივ აღარ მოევლება ჩვენს გაჭირვებას, ოღონდ თქვენ გვირჩიეთ, დასტური მოგვეცით და სხვაგან გადავსახლდებით, რადგანაც არც სურვილი გვაქვს და არც შეძლება მაჰმადიანებთან ბრძოლისა და უთანხმოების წარმოებისა. აი, რაზე გვემუდარებიან ინგილოები მთელი წლის განმავლობაში და ნუთუ ამის შეუსმენელობა, ამგვარ მდგომარეობაზე თვალების დახუჭვა შესაწყნარებელი და გასამართლებელია რითიმე?! ამის შემდეგ რა იმედითღა უნდა იყოს პროვინცია ჩვენს ინტელიგენციაზე, პოლიტიკურ წრეებზე, საერო საბჭოზე, თვით რევოლიუციონერულ მმართველობაზე!

ბრალიანს და უბრალოს ენაზე გვაკერია - ერს შევაგნებინოთ რევოლიუციური მმართველობის აუცილებლობა, ფართო საზოგადოებას დავანახოთ ახალი მმართველობის უპირატესობა, მშრომელი გლეხობის თანაგრძნობა მოვუპოვოთ რევოლიუციის მუშაკებსო და ამავე დროს კი ერის კვნესა არაფერს არ ეუბნება რევოლუციურ მმართველობის და ორგანიზაციების წევრთა გულსა და გონებას, გლეხთა გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ხვეწნა-ვედრებას ყურსაც არ ათხოვებენ ჩვენი ქვეყნის ბედის მაწარმოებელნი! რა არის ეს, თუ არა საკუთარი ხელით ჩამოჭრა იმ ტოტისა, რომელზედაც სხედან მთავარნი და წვრილი მუშაკნი რევოლუციის ხომალდისა ჩვენს ქვეყანაში? განა წარმოსადგენია, რომ ამაზე უფრო საშიშრად გამოუნგრიოს ვინმემ გვერდი და ძირი ხსენებულ ხომალდს!

ბუნებრივი არ იქნება, რომ ჩვენი გულქვაობით და განუკითხაობით მოთმინებიდან გამოსულმა ინგილოებმა ერთხელ და სამუდამოდ ზურგი შემოგვაქციონ და ზიზღით მოგვაძახონ ჩვენი ურგები მაწონი ძაღლს და ქოთანი ქვასო.

ბატონებო! ინგილოები არც ჯარსა გვთხოვენ, არც ფულსა და არც სურსათს. მათ ჩვენდამი ხელი გამოუწვდიათ და გვემუდარებიან ამას: გაიგეთ რათ გვისპობენ სიცოცხლეს ამხედრებული მაჰმადიანები და, თქვენ მიერ გამონაკვლევი, წარუდგინეთ მუსულმანთა საზოგადოების შეგნებულ ნაწილებს სამსჯავროდო...

მთელი ჩემი არსებით ვუერთდები წამებულ ინგილოთა გულიდან ამომხდარ მწარე გმინვას და გთხოვთ ყველას, ვისაც კი შერჩენია მოყვასის გაჭირვების შეგნება-გაზიარების მადლი, ახლა მაინც უსმინოთ ტანჯულ ინგილოებს, ახლა მაინც ვიღონოთ რამე, რომ ამ ბედშავ ჩვენს ძმებს შევუნარჩუნოთ ფიზიკური არსებობა.

მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1918. – N155. - მარიამობისთვის 8. - გვ.4.

მოწოდება ქართველთადმი

ძვირფასნო მამულიშვილნო!

მოგეხსენებათ, რომ ქართული საეკლესიო გალობა არის ჩვენი ერის სულის გენიალობის ერთი თვალსაჩინო მხარის გამოხატულება და უტყუარი საბუთი ქართველთა მაღალ კულტურულობისა. ეს გალობა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უსპეტაკებდა ქართველებს გულსა და გონებას მაღალი იდეალებით და განაცდევინებდა იმ სანეტარო წამებს, როდესაც ქვეყნიური ციურად გრძნობს თავის თავს, ცოდვილს ესახება ღვთის მშვიდობის რწმენა, ქვეყანა და მიდამო კაცს ეხატება სამოთხედ.

მაღალი, კეთილშობილური მიმართულება, რაინდობა, სიმტკიცე და უდრეკელობა ნებისყოფისა, რომლითაც ცნობილ იყვნენ ისტორიაში ჩვენი წინაპრები, შედეგი იყო უმთავრესად იმისა, რომ იგინი საერთო ღვთის ვედრების დროს იტკბობდნენ ყურთა სმენას მომხიბლავი ქართული გალობით...

სამშობლოს პოლიტიკური ცხოვრების ბორბლის უკუღმა გადატრიალებამ, სხვა ბევრ რამესთან ერთად, საუცხოო გალობაც საგრძნობელად დაგვისახიჩრა, რის გამოც ჩვენი ნათელი ეროვნული მსოფლმხედველობაც შეიბღალა, რაინდობა ჩამოქვეითდა, მანამდე ჩვენი დამახასიათებელი სიმტკიცე ნებისა გაიბზარა.

დღეს, როდესაც უზენაესმა განგებამ კვლავ თავს დაგვადგა თავისუფლების ბრწყინვალე გვირგვინი, საშვილიშვილოდ დასაგმობ ცოდვას ჩავიდენთ დიდი და პატარა, რომ ახლავე არ შევეცადოთ მთელი ჩვენი არსებით ჩვენი ქებული ძველი გალობის აღდგენას.

ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა, გამსჭვალულმა საეკლესიო გალობის აღდგენის წადილით, მიმდინარე წლის მკათათვის 28-ს [ძველით] ქ. თბილისში დააარსა ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ საგანგებო კომიტეტი იმ დავალებით, რომ ასეთმა მოუპოვოს ქართულ მგალობელთა გუნდს შეწირულების საშუალებით საჭირო თანხა.

გაუწყებთ რა ამას პატივისცემით, მამობრივი გულმხურვალეობით გთხოვთ და გევედრებით მდიდარსა და ღარიბს: ნურავინ ნუ დაიშურებთ ხსენებული დიადი საქმისათვის ხვედრ წვლილს, ყველამ წილი ჩაიდეთ შეწირულების გაღებით ქართული გალობის აღდგენის საქმეში და გწამდეთ, რომ ამითი მტკიცე საძირკველს ჩაუდგამთ მშობლიო ერის საერთო ბედნიერებას, ვინაიდან თანახმად ებრაელთა მეფე დავითის უკვდავი სიტყვებისა „ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა.“

მდაბალი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1919. – N4. - იანვრის 5. - გვ.3-4.

დალოცვა

ხევსურების მოხალისეთა ლაშქარი

სიონის ტაძარში ხუთშაბათს, ორს იანვარს

სალამი თქვენდა და ლოცვა-კურთხევა, ჩემო სულიერო შვილებო, სალ-კლდესავით მტკიცენო და გულგაუტეხელნო ძვირფასნო ხევსურნო!

ას წელზე მეტია, რაც თქვენი მამა-პაპები, მეფე ერეკლეს მოწოდებით, არწივებივით ჩამოფრინდნენ ხევსურეთიდან ჩვენს დედაქალაქ თბილისში კრწანისზე აღა-მაჰამედ-ხანთან შესაბრძოლებლად და სწორედ აქ, ამ ტაძარში, ვიდრე ბრძოლას დაიწყებდნენ, გულმხურვალედ შესთხოვდნენ ღმერთს მტრის დამხობა-დამარცხებას.

მართალია, ხსენებული მამულიშვილები სულ დაიხოცნენ ბრძოლის ველზე, ერთიც არ გამოსულა მათგანი ცოცხალი კრწანისის ომის ცეცხლიდან, მაგრამ სამაგიეროდ ქვეყანას უებრო გმირობის მაგალითი უჩვენეს, გამარჯვებული მტერიც კი აღარაფრად აფასებდა თავის გამარჯვებას, ისიც გაშტერებული დარჩა ამ საზღაპრო და თვალით უნახავ ვეფხვთა ლომ-გმირობით.

ძმებო! ეს იყო 123 წლის წინედ. მასუკან საქართველოს მზე ჩაესვენა. ერეკლე მეფემ სამარეში ჩაიყოლა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. წელში გატეხილ საქართველოს ბატონ-პატრონებად შეიქმნენ რუსები, რომელთა მოხელეები არ სჯერდებოდნენ იმას, რომ ხელიდან გვაცლიდნენ მამა-პაპათა სისხლით შეძენილ მიწა-წყალს, გვიკრძალავდნენ სამშობლო ენაზე სწავლა-განათლებას და მართლმსაჯულებას, გვიზღუდავდნენ მოქალაქობრივ უფლებებს, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ შეეზიზღებინათ ჩვენთვის სამშობლო ენა, ხელი

აგვეღო ჩვენს სალოცავებზე, შეგვეგინებინა და დაგვეგმო ჩვენი წინაპრების საფლავები. მაგრამ ვერას გახდნენ უგუნური მართველობის მოხელეები. კრწანისის ომის შემდეგ ხევსურებმა თითქოს კარი ჩაიკეტეს, ურთიერთობა შეწყვიტესო ბართან იმ ჟამამდე სანამ, საქართველო არ გაიწმინდებოდა უცხოელთა ბატონობისაგან...

დღეს, როდესაც რევოლუციის ქარიშხალმა გაფანტა და მტვრად აქცია ჩვენში რუსთა გამგეობა, როდესაც საქართველოს შვილებმა ისევ ჩაისუნთქეს სანეტარო თავისუფლების სულისჩამდგმელი ჰავა, როდესაც ივერიას ამაყად დაჰფრიალებს დამოუკიდებლობის დროშა და ამ ფასდაუდებელი სიკეთის ხელიდან გამოსატაცებლად ბრძოლა გამოუცხადებიათ ჩვენთვის ვერაგ და უმადურ სომხებს, თითქოს საფლავებიდან წამოდგნენ კრწანისზე დახოცილი ხევსურები, თითქოს უკანასკნელები მოუწოდებენ მთებიდან თავიანთ შვილებს სამშობლოს დასაცავად სომხების ვერაგობიდან და აი, ჩვენ წინ მდგომი ლაშქარიც მამების ძახილზე შავარდენივით ჩამოფრენილა დედა სიონში, რომ აღიჭურვოს ღვთის მადლით და მერე რისხვად მოევლინოს საყვარელი სამშობლოს მტრებს!

საუცხოვო სანახაობაა! ბედნიერი მოწმეები ვართ ისტორიის გამეორებისა. თვალწინ მდგომი სურათი ეჭვს გარეშე ჰყოფს, რომ ამ ასი წლის წინეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გაწყვეტილი ძაფის წვერი თავის თავად გადებია ქართველი ერისაგან სულ ახლად შეძენილ დამოუკიდებლობას და კრწანისის ველზე დახოცილი ხევსურების სული გაცოცხლებულია დღეს მათ შვილებში, ამ მშვენებით სავსე ლაშქარში!

რა დარიგება მოგცეთ, რითი დაგმოძღვროთ და რა დაგავალოთ, საყვარელო ძმებო?

გული გაგიმაგროთ? გაგამხნევოთ? ვაჟკაც-მამულიშვილობის ცეცხლი გაგიღვივოთ?

არა! კლდესა და ფოლადს გამაგრება არა სჭირდება, თვითოეული თქვენგანი განხორციელებაა მხნეობა ვაჟკაცობისა, ყველას მოდებული გაქვთ მამულიშვილობის გაუნელებელი ცეცხლი.

მე ახლავე ნათლად მეხატება თვალწინ სურათი იმ მხდალი სომხებისა, რომლებსაც ერთი თქვენი დანახვა კურდღელებივით დააფრთხობს და თავზარ-დაცემულებს ძვირფას საფრებად გაუხდის ჩირგვებსა და სოროებს.

მტკიცედ მტკიცეა, რომ თქვენ გაიმარჯვებთ, ზარს დასცემთ და წელში გასწყვეტავთ უგუნურ მტერს. ამისი სხვაფრივ წარმოდგენა ისევე დაუჯერებელია, როგორც თქვენი არაგვის შატილისაკენ მობრუნება.

თავმომწონე ვაჟებო! მე მხოლოდ ერთსა გთხოვთ და გევედრებით: შერცხვენით შეარცხვინეთ, დასჯით დასაჯეთ, კარგად აგრძნობინეთ და გააგებინეთ კიდეც თქვენი ვინაობა უმადურ და გაუტანელ სომხებს, მაგრამ შებრალებაც იქონიეთ მათი, როგორც დიაცებისა და მთლად მეხად ნუ დაატეხავთ მათ თავებზე თქვენს სამართლიან რისხვას და გულის წყრომას. ქართველი იმითი ყოფილა და იმითია სახელოვანი, რომ მას არ სცოდნია და არც იცის წაქცეულ-დამარცხებულის დაწიხვლა.

მაშ, ღმერთი იყოს თქვენი წინამძღოლ-ხელისამპყრობი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გფარვიდეთ თავისი დედობრივი კალთით. ლაშარი, თამარი, ხახმატი, გუდანი, კარატი და

ყველა თქვენი სალოცავები ჩაჩქნად და ფარად გექმნენ განსაცდელის დროს და დიდი და პატარა უვნებლად დაგაბრუნოთ თქვენს კერა-ოჯახებში.

მიიღეთ ჩემგან სულიერ სახსოვრად ეს წმიდა გიორგის ხატი და თქვენი სასოება დიდებული გიორგი გიცავდეთ ყველას შინ და გარეთ!

გაუმარჯოს თქვენს მკლავს და დროშას! ამინ.

თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი.

საქართველო. – 1919. – N46. - თებერვლის 28. - გვ.4.

სიტყვა

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის

წარმოთქმული სვეტი-ცხოველში 23 თებერვალს

კათოლიკოზად კურთხევის დღეს

მღვდელთმთავარნო წმინდანნო, ქრისტეს კრძალულნო მოძღვარნო, სათნო მოსილნო ბერმონაზონნო და ღვთის სიყვარულით შემოკრებილნო მორწმუნეთა დასნო!

მამათმთავრულ ლმობიერებით აღსავსე ლოცვა-კურთხევას და მხურვალე მადლობას მოგიძღვნით თვითეულს, რომ შრომა მიიღეთ. საღმრთო წირვას დაესწარით და გამოსთხოვეთ ჩვენს შემოქმედს ზეციერ მამას, ჩვენს მხსნელს და მაცხოვარს იესოს ქრისტეს და ჩვენს მანუგეშებელს სულიწმიდას მადლი და შემწეობა ჩემი უღირსებისათვის.

მოგეხსენებათ, რომ მღვდელ-მთავრობა საერთოდ და მამათ-მთავრობა კერძოთ განსხვავებული და საკუთარი ბუნების წოდებაა. არსებითად იგი არავის არ ეძლევა ქვეყნიური უმფროსის ბრძანებითა და სურვილით. მღვდელ-მთავრობა ნიჭია ღვთისაგან გამომავალი. „არავინ თავით თვისით მოიღოს პატივი“-ო, დასწერს დიდებული მოციქული პავლე ამის შესახებ, „არამედ რომელი წოდებულ არიან ღვთისა მიერ, ვითარცა აარონ“-ო.

მაგრამ ღვთის მადლსა და ყურადღებას ადამიანი იმსახურებს ადამიანისავე დახმარებით; კაცს ღმერთთან აახლოებენ ისევ კაცები თავიანთი ლოცვით და შუამდგომლობით წინაშე ღვთისა და აი სწორედ ასეთი დახმარება გამიწიეთ თქვენ დღეს ამ თქვენი სამლოცველო შეკრებით.

ასეთს დავალებას მე ვერაფრით ვერ გადაგიხდით. თუ არა ჩემი მხრითაც თქვენთვის ღვთისადმი მხურვალე ვედრებით. ვდებ აღთქმას, რომ ჩემი ყოველდღიური ღვთისადმი ვედრების მთავარი საგანი იქნება თქვენი და მთელი ქართველი ერის კეთილდღეობა.

საღმრთო განგებამ დამადგინა საქართველოს ეკლესიის მესვეურად და ჭირისუფლად მაგრამ ვძრწი და ვშიშობ, ვაი თუ ვერას გავხდე, ვაი თუ ვერა ვარგორა, ვერ გავფანტო ის

საბედისწერო შავი ღრუბლები, რომლებითაც ოთხ-კუთხივ მოცულია დღეიდან ჩემი საჭირისუფლო ეკლესია. შორს წასვლა და დიდი კვლევა-ძიება არა გვჭირდება ჩვენი ეკლესიის დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ამის შესახებ ყველაზე მჭერმეტყველურად, მკაფიოდ და ხმა მაღლა ღაღადებს თვით ეს ჩვენი დედა ტაძარი სვეტი-ცხოველი. აბა, კარგად მიიხედ-მოიხედეთ გარშემო, აბა, გულდადებით დასინჯეთ აქ ყველაფერი. აბა, გონება მოკრებით ჩაუკვირდით ამ ტაძრის თვითეულ კუთხეს, მის მორთულობას, მასში ღვთის მსახურების შესრულების წეს-რიგს და ბრძანეთ, რა არ არის აქ დაძველებული, დანგრეული, მოშლილი, გაცვრცნილი და შებღალული? ჩამპალ-ჩამსხვრეული ფანჯრები, დაფხავებული სახურავი, ნესტით გაჟღენთილი კედლები, უცნაური კანკელი, საცოდავი ნაფლეთები და კედლის მხატვრობისა, ორმოებად გადაქცეული იატაკი, დაფლეთილი შესამოსი და ამხელა ტაძარში მარტო მღვდლისა და დიაკვნის წირვა-ლოცვა კვირა-უქმეებში სამიოდ მლოცველის თანადასწრებით - აი რას ვხედავთ სვეტი-ცხოველში, რას განიცდის და რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ხელათ ჩვენი დედა ეკლესია!

ამ გულსაკლავ სურათს, როგორც იქნებოდა, შეურიგდებოდა კაცი, რომ მას მხოლოდ სვეტი-ცხოველში ჰქონებოდა ალაგი. სატირალი სწორეთ ისაა, რომ სვეტი-ცხოველის აღნიშნული მდგომარეობა ნამდვილი სახე და გამოხატულებაა ჩვენი ეკლესიის აწინდელი საერთო დამცირებულ-დაკნინებული ყოფა-მდგომარეობისა. იმას, რაც თვალსა გვტკენს და გულს გვიწყალავს აქ, სვეტი-ცხოველში, შევხვდებით ყოველგან ქართლ-კახეთში, იმერეთში, ოდიშში და გურიაში.

ღვთის სახლი დღეს ჩვენში თითქმის ყველგან პატივ-აყრილი და გაჩანაგებულია, დარბეული, დამცირებული და ყოველგვარად შევიწროვებულია სამღვდელოება, მორწმუნენი განიცდიან დევნა-შეურაცხებას, ქრისტიანული მოძღვრება და განათლება მრავალთ დაუსახავთ ცხოვრებიდან გასადენ და ამოსაფხვრელ ფაქტად, მოკლედ, დღეს თითქმის ყველანი ამხედრებულან ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ და მისი მდგომარეობა მოგვაგონებს „კედელსა მიდრეკილსა და ღობესა დაჭენებულსა.“ აი ესაა, რომ მაშინებს, რომ გულს მიტეხავს და მწარე საფიქრებელში მაყენებს. დედამიწის პირზე ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ რომელიმე ერში ეკლესია დაცემულიყოს, ერს ხელი აეღოს სჯულზე, ერში სარწმუნოებრივი გრძნობა გამქრალიყოს და ამასთან ერთად არ მოსპობილიყოს ასეთი ერის პოლიტიკური არსებობა, არ მოშლილიყოს მისი მატერიალური კეთილდღეობა, არ გამოფიტულიყოს მისი გონება-ზნეობის სალარო.

საყვარელნო! ღვთის მადლით თავი დავაღწიეთ მტრის საზიზღარ ბრჭყალებს, გავითავისუფლეთ ეკლესია, დამოუკიდებლობა მოვუპოვეთ სადიდებელ სამშობლოს. მაგრამ სინამდვილე გვიკარნახებს, რომ მარტო ეს არ კმარა, მარტო დამოუკიდებლობის შემენა დიდი საქმის გარიგებას არ ნიშნავს. საქმე ამ თავისუფლების შენარჩუნება და განმტკიცებაა. თავისუფლება ქვეყნისა უნდა დავიცვათ ისეთი გაუტეხელი სიმაგრით, რომელსაც ხუროთმოძღვრებაში მონოდიტს უწოდებენ, რომელიც ამოყვანილია მთლიან კლდეზე.

ქვეყანაზე არ მოიპოვება მეორე ძალა, რომ ისე აერთებდეს, ისე ათვისებდეს, ისე ადუღებდეს და ასისხლ-ხორცებდეს ერთმანეთთან საზოგადოების წევრებს, როგორც სარწმუნოება. ეს ძალა უნდა გამოვიყენოთ მოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის ჩვენში, ეკლესიის წმიდა საკურთხეველი უნდა შევქმნათ სამშობლოს თავისუფლების წარუხოცელობის ციხე-კოშკის საფუძვლად. ძველი აღთქმის ბრძენთა ბრძენი

მეფე ამბობს: „ვითარცა წვიმა მძლავრი ურგებ არს, ეგრეთ რომელთა დაუტეონ შჯული. ხოლო მოყვარენი შჯულისანი გარემოივლებენ თავისა თვისისა ზღუდესა.“ (იგავ. სოლ.: 28,4).

დღეის შემდეგ მე ვიცოცხლებ მარტოდ მარტო იმისთვის, რომ, რამდენადაც შემეძლება, ხელი შევუწყო ქართველ ერში სჯულის შეგნება-განმტკიცებას იმ ანგარიშით, რომ ამით განმტკიცდეს, გაძლიერდეს და გაღრმავდეს ჩვენი ერის თავისუფლება, ჩვენი ერის თვითარსებობა, ჩვენი სუვერენობა და ხელმწიფება. ყოველთვის სამშობლოს სიკეთისაკენ იყო და შემდეგშიაც, სანამ სული მედგმება პირში, აქეთკენ იქნება ჩემი ძახილი. ამიტომ, გთხოვთ და გევედრებით ყველას, ვისთვისაც სამშობლო წმიდათა წმიდაა, ნუ დაჰკარგავთ სარწმუნოებრივ სიმხურვალეს, დარჩით ერთგულ შვილებად მშობლიო ეკლესიისა და თქვენს ცხოვრება-მოქმედებას ნიადაგად გაუხადეთ სახარების უკვდავი მოძღვრება.

ქრისტე! სოფლისა მხსნელო! იხსენ სამშობლო ჩემი ყოველი განსაცდელისაგან და ყოვლადწმიდა დედაშენის წილხდომილ საქართველოს მოჰფინე უხვად ნათელი შენი! ამინ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი.

საქართველო. – 1919. – N66. - მარტის 25. - გვ.4.

მიმართვა სამწყსოსადმი

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ ლეონიდის

ინტრონიზაციის გამო

მდაბალი ლეონიდი, ნებითა ღვთისაითა მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი, საქართველოს ეკლესიის ძეთა და ასულთა: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა!

ვიწყებ რა ღვთის შეწევნით ივერიის ეკლესიის მართვა-გამგეობას, სულის მოთხოვნილებად მიჩნს, პირველ ყოვლისა გაგახსენოთ თქვენ იესო მაცხოვრის უკვდავი სიტყვები: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. (მათე. 22,37-39).

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი,“ - აი უპირველესი თხოვნა ჩემი, ღვთივ დაცულო სამწყსო ჩემო! ღვთის სიყვარული და სასოება ნიშანდობლივ თვისებას შეადგენდა ქართველი ერისას თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში. ამ სათნოებამ მოუპოვა მას საპატიო ადგილი კაცობრიობის ოჯახში. მან გაფურჩქნა და ააყვავა მისი წარსული, რომლითაც ის სამართლიანად ამაყობს დღეს. საქართველოს დიდებული წარსული იმდენად პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ ფაქტორს არ შეუქმნია, რამდენადაც ღვთისმოსაობას, რომელმაც განასპეტაკა იგი ზნეობრივად, დააწინაურა გონებრივად და ლიტერატურულად და განავითარა ესთეტიურად, რასაც უხმოდ ღაღადებს დიდებულ არქიტექტურულ ნაშთებით

მოქარგული მშვენიერი სამშობლო ჩვენი. ასე იყო ძველად, რას ვხედავთ დღეს? თუ წინათ, უცხოელთა მოწმობით, ქართველები ყველაზე უკეთესი ქრისტიანები იყვნენ, დღეს ყველაზე მეტად უარჰყოფენ ქრისტიანობასა და ეკლესიას. მართლაც და, დღეს მოიპოვებიან ჩვენში ისეთები, რომლებიც საჯაროდ აცხადებენ, რომ ქართველები საკმაოდ განვითარდნენ კულტურულად და ამიტომ არა სურთ სკოლაში ქრისტეს სჯულის შესწავლა, მათთვის მეტია ეკლესია-მონასტრები, რომელნიც დღითი დღე ინგრევიან, მათთვის საჭირო არაა მღვდელ-მონაზონნი, რომელნიც შიმშილით უნდა დაიხოცნენო. ვთქვათ, მართლაც წინ წავიწიეთ კულტურულად და გონებრივად, განა ამან ხელი უნდა აგვაღებინოს ღმერთზე და სჯულზე? ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ბევრი სხვადასხვა ხალხი ვიხილეთ ჩვენს მიწა-წყალზე, მათ შორის კულტუროსან ევროპის წარმომადგენელნი, როგორც არიან პოლონელნი, გერმანელნი და ინგლისელნი; ესენი ყოველ კვირა-უქმე გულმხურვალედ და სასოებით ლოცულობენ და ევედრებიან ღმერთს. ნუ თუ ჩვენთან შედარებით ისინი გონებრივად ჩამორჩენილნი არიან და სწავლა-განათლებით ჩვენ მათზე მაღლა ვდგევართ? არა, ეს ერთგვარი ცილის წამებაა: ურწმუნო და უღვთო კაცი კულტურულად ვერ დაწინაურდება, პირიქით მას გაველურება მოელის. ამიტომ გემუდარებით: შეიყვარეთ ღმერთი, ნუ დაივიწყებთ ქრისტეს მცნებას და სჯულს, რომლითაც საზრდოობდნენ ჩვენნი წინაპარნი, ეცადეთ იყოთ ღირსეული მოქალაქენი ზეციურ სასუფეველისა და მაშინ შეიქმნებით ბედნიერნი მოქალაქენი ამა ქვეყნიურ სამკვიდრებელისაცა.

„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი," - აი მეორე თხოვნა ჩემი. „ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ არს." (იოანე. 13,35).

მოყვანილი სიტყვებით მზეებრი სიცხადით გვეუწყება რაც სავალდებულო და აუცილებელია ყველა ჩვენგანისათვის მამაკაცი ვართ თუ დედაკაცი, ხნიერი თუ ახალგაზრდა, სწავლული თუ უსწავლელი. ქრისტეს ბრძანებაა: ჩემი მოწაფეობა, ჩემი მოძღვრების განხორციელება, ჩემი პიროვნების დაფასება და ნამდვილი პატივისცემა მხოლოდ იქაა შესაძლებელი და წარმოსადგენი, სადაც ურთიერთისადმი გულითადი სიყვარულია, სადაც თანხმობაა მოქალაქეთა შორის და ერთსულოვნება გამეფებული, სადაც საზოგადოების თვითეულ წევრს გული უცემს მოძმეთა სამსახურისათვის, თავის მზგავსთა ბედნიერება-ამაღლებისათვის, სადაც თვითეული ღვიძლ ძმადაა მიჩნეული ყველასაგან.

ამაშია ნამდვილი ქრისტიანობა, ამგვარი მიმართულების ცხოვრებით მოვიგებთ მაცხოვრის გულს და მხოლოდ ამ გზით განვამტკიცებთ ჩვენი ერისა და ქვეყნის კეთილდღეობას.

ასი წლის მძიმე მონობის ხუნდების ქვეშ ყოფნამ ჩვენი სამშობლო დააუძლურა, მოშალა, دااავადა და ყოველნაირად ჩამოაქვეითა. ჩვენ, მისმა შვილებმა, უნდა აღვადგინოთ და განვკურნოთ იგი, წელში გავმართოთ და მოვაღონიეროთ, ჩავბეროთ სული მარადისობისა, განვამტკიცოთ და ყველას ვაღიარებინოთ მისი დამოუკიდებლობა.

გარნა ეს იმდენად დიადი და აზიზი თვისების შემოქმედებაა, რომ შეუძლებელია მისი საწადელი წარმოება გარეშე მთელი ერის შემადგნლობის განუყოფელი და ხელი ხელს ჩაკიდებული თანამშრომლობისა. ყოველი შუღლი და უთანხმოება მოქალაქეთა შორის ამ დიადი საქმიანობის ნიადაგზე, მოქალაქეთა გაყოფა და დანაწილება მოპირდაპირე

ჯგუფებად ჩაგვეთვლება სამშობლოს ხელახლად წაქცევად, შიგნიდან ციხის გატეხვად, მტერთა გასახარელად. სამშობლოც ვითარ ქრისტე, დიდსა და პატარას გვემუდარება დღეს: „ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთარსო.“ (იოანე. 13,35).

ქრისტესა და სამშობლოს სახელით მოგმართავთ ჩემს სულიერ ძეთა და ასულთ: სამუდამოთ დამავალეთ, მყავთ „შვილთა ზედა სახარულევან მამად,“ ყურად იღეთ ჩემი ვედრება: იყვარებოდეთ ურთიერთარს, მოიშორეთ და დაივიწყეთ ყველაფერი, რაც ერთი მეორეს გაძულებთ, ერთი მეორისაგან გთიშავთ, გაბრკოლებთ მამულის საკეთილდღეოდ შეთანხმებულად მუშაობაში, მოსიყვარულე შვილებად შეუდექით მხრებში სამშობლოს და დაარწმუნეთ მტრები და მოყვარენი, რომ საქვეყნო საქმეების გარიგებაში დიდსა და პატარას გაქვთ ერთი ენა, ერთი ნებისყოფა და ერთი მსოფლმხედველობა. იცოდეთ და გწამდეთ, რომ მარტოდ მარტო „სიყვარული აღაშენებს.“ (1-კორ. 8,1). დაე ამიერიდან თქვენი შეთანხმებული მოქალაქობით ჰსცნან ყოველთა, რომ ქართველებს გვიცოცხლნია და ვცოცხლობთ ღვთის სიყვარულით, რომ ჩვენ ვსუნთქავთ სამშობლოსა და მოყვასთა ბედნიერებაკეთილდღეობისათვის.

იყავნ, იყავნ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდი.

საქართველო. – 1919. – N111. - თიბათვის 1. - გვ.3-4.

შესხმა

წარმოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლისთავის ზეიმობის დღეს, საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის მიერ

საქართველოს დედაქალაქი თბილისი მაისის ვარდივით აყვავებულა და, ეროვნულ დროშების ტყეში ჩამჯდარი, წმინდა წყლის ლალის კრიალოსნივით საოცნებოდ ბრჭყვიალებს ცხრა თვალი მზის სხივებზე. მძლავრ სკიდან გამოსულ ახალ ნაყარი ფუტკრებისავით გამოვფენილვართ ყველანი კარზე და სიმღერა-მუსიკით ვლაღობთ, ვზეიმობთ, ვდღესასწაულობთ და ვმხიარულობთ ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, სწავლული და უსწავლელი, მუშა და სახელმწიფო მოხელე, მხედარი და ვაჭარი.

რაშია საქმე? რა მოხდა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი, რომ ასე უცბად დაგვივიწყებია ყველას ყოველდღიური დარდი და ვარამი, ასე თანაბრად მოგვდებია დიდსა და პატარას უსაზღვრო მხიარულება?

იქნება დღევანდელმა დღემ დაგვასაჩუქრა თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის მსგავსი პიროვნებით, ან იქნება ჩვენს ქვეყანაში აღმოვაჩინეთ ძვირფასი თვალმარგალიტისა და ოქრო-ვერცხლეულობის უამრავი ზინათები და ამის გამოა, რომ

სამხიარულოდ გაგვიხსნია ყველას შუბლი და გული, ესაა მიზეზი დღევანდელი ჩვენი შვება-ლხენისა?

არა! ყველა ეს, გინდაც ერთად აღებული, არ კმარა, მეტად მცირე და მდარეა იმისათვის, რომ ასე აღფრთოვანდეს, ფეხზე დადგეს, ბედნიერების ფიალად იქცეს და მზებრ გაბრწყინდეს მთელი ერი.

დღეს ჩვენ ვითვალისწინებთ იმის შეძენას, რითაც კაცი კაცობს და თავი მოსწონს. დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს საკუთარი თავის პოვნას. ეს დღე წლის თავია ჩვენი სამშობლოს კისრიდან პოლიტიკური მონობის სათაკილო უღლის ახდისა; ეს დღე წლისთავია, რაც საქართველო შეიქმნა დამოუკიდებელ, თავისუფალ, სუვერენული უფლებებით მოსილ ქვეყნად - აი, რას იგონებს, რას დღესასწაულობს და რას უმღერის დღეს მთლიანი საქართველო „ერთითა გულითა და ერთითა პირითა“ კიდით კიდემდე! აი, რის გამო ამეტყველებულა დღეს საქართველოში უენო, ფეხი აუდგამს კუტს, თვალის ჩინი მისცემიათ ბრმებს და საყვარელი შვილების დამმარხველ საბრალის მშობლებს მწარე ტირილი შეუცვლიათ მაყრულზე! ესაა მიზეზი, რომ სასიკვდინედ გადადებულ ავადმყოფებსაც კი გული აღარ დასდგომიათ სახლებში და უთხოვნიათ მოკეთეთათვის საკაცეებით გარეთ გატანა, რომ რამდენიმე წამით მაინც განიცადონ მშობლიო ერის საერთო ლხინი!

დასტკბით, ძვირფასნო მოქალაქენო! იხარეთ და იბედნიერეთ, ჩემო სასიქადულო სულიერო შვილებო, ამ შეუდარებელი, საღმრთო და იშვიათი წამით!

სოციალ-პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა სამშობლოსი - ამის მოპოვებისთვისაა, რომ გული უცემს შეგნებულ ადამიანს, ესაა, რომ ენატრება ყველას, ვინც ღირსეულად ატარებს ქუდს და კაცის სახელს.

შეიყვარეთ, შეიტკბეთ, სისხლ-ხორცად, სუნთქვად, მეორე ბუნებად გაიხადეთ, საყვარელნო, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა და თავგანწირვით სამსახური.

ყველაფერს შეელიეთ, ყველაფერი დასთმეთ, ნურავითარ მსხვერპლს ნუ დაერიდებით სამშობლოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და გწამდეთ, რომ ამაზე სასახელოს, ამაზე საქებარს, ამაზე სათნოს, ამაზე უფრო სასიკეთოს და სახეიროს როგორც თქვენთვის, ისე თქვენი ჩამომავლობისათვის თვით ღმერთიც ვერც რამეს გაგონებთ, და ვერც რისამეს გარიგებას შეგაძლებინებთ თქვენს სიცოცხლეში.

თავისუფლება ყველაფერია თვითეული პიროვნებისთვინაც და მთელი ერისთვინაც.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ თავისუფლება მეტად ნაზი და აზიზი ბუნებისაა. იგი მარტო იქა ხეირობს და ფესვებს იდგამს, სადაც ტრიალებს „სული უფლისა,“ ესე იგი სადაც ადამიანი ადამიანს სცნობს, ერთი მეორეს აფასებს, თვითეულის პიროვნება ხელშეუხებელ საუნჯედაა ცნობილი, სხვისადმი სამსახური, სხვისთვის თავისდადება, სხვისი ამაღლება და გახარება საკუთარ ბედნიერებადაა აღიარებული, სადაც ყველამ იცის საკუთარი თავის ალაგმვა, შეზღუდვა, დაჭერა და შევიწროვება, რომ მეზობელს, თავის მსგავს ადამიანს არავითარი ზიანი, არავითარი უსიამოვნება, არავითარი მწუხარება და სიმწარე არ მიაყენოს არც სიტყვით და არც საქმით.

ესაა ერთად-ერთი პირობა ქვეყანაზე სათაყვანო თავისუფლება-დამოუკიდებლობის განმტკიცებისა.

აქეთკენ ვიქონიოთ ყველამ გული და გონება, მას ვეტრფოდეთ, ეს შევიძინოთ და საქართველოც სულ მოკლე დროში შეიქმნება დედამიწის მდიდარ სახელგანთქმულ, ძლიერ და უძლეველ ნაწილად.

მოგილოცავთ, მამულიშვილებო, სამშობლოს დამოუკიდებლობის წლისთავს, ვით ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს!

ღმერთმა აკურთხოს, აღადგინოს, განაძლიეროს მკვიდრთა რაოდენობით და აღავსოს სულიერ მატერიალური დოვლათით ხატივით სალოცავი საყვარელი საქართველო! ამინ!

კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდი.

საქართველო. – 1919. – N223. – 16 ღვინობისთვე. - გვ.3.

სიტყვა

სვეტიცხოვლობას

მცხეთობა! სვეტიცხოვლობა! რა წმიდა და საღმრთო გრძნობებს უღვიძებენ ქართველს ეს სიტყვები! რა საამო და ნაცნობი სურათები გვეფინება თვალწინ მათ გაგონებაზე!...

სვეტი-ცხოვლობა - ეს ის დღეა, მთელი ქართლი ქალიდან კაცამდე რომ ფეხზე დგება, სადღესასწაულოდ იმოსება და საღმრთო განცდებით სახე გაბრწყინებული რომ სიამოვნებით მცხეთისკენ მოეშურება აქ, გადაჩარდახებული ურმით, იქ ცხენით, სხვაგან მატარებლით, ეტლით ან ფეხით, დატვირთული თავისთვის საჭირო საგზლით, ხატისთვის შესაწირავი ზედაშე-სეფისკვერით, გლახა-დავრდომილთათვის გასაკითხი ულუფით და საქვეყნო საქმეებზე გასაცემი ხვედრი წვლილით.

მცხეთობა ის დღეა, თვითეული მორწმუნე ქართველის გულში რომ თავისთავად იბადება მშობელ ერთან გაერთიანება-შექსოვის ძლიერი წყურვილი, მძლავრი სურვილი საკუთარი გულისა და გონების ჩაღრმავებისა მშობლიო ერის ზრახვათა და გულისთქმათა საერთო ემბაზში, მხურვალე წადილი კერძო პირებსა და ერს შორის იმ ურთიერთობის შექმნისა, რომლის თვალსაჩინო მაგალითს იძლევიან მტკვარი და არაგვი სწორეთ მცხეთის მადლმოსილ მიდამოებში.

სვეტიცხოვლის კალთებზე სალოცავ-საზეიმოთ თავმოყრილ ქართლის შვილებისათვის უძირო ქარქვეტს, რომ თვითეული მათგანი თავისი სულიერი და ხორციელი არსებობის ფესვებით მკვიდრად არის ჩამჯდარ ჩანივთებული დედა სამშობლოს სხეულში, განუყოფელ-განუკვეთელი ნაკვთია იმ ერთეულისა, რომელსაც სახელად ქართველი ერი ეწოდება, რომ სვეტი-ცხოველისებური ტაძრებით ყველანი მაგრად ვართ მიკერებულნი შორეულ წინაპართა კალთებზე, სვეტი-ცხოველით დიდსა და პატარასთვის გასაგები ხდება მამა-პაპათა

გულისცემა, ჩვენდა მომართული მათი მშობლიური ძახილი, ის ანდერძი და მცნება მათი, რომელიც გზის მაშუქებელ ლამპრად უნდა გვეკავოს ყველას ხელში.

დღევანდელი სანახაობა სვეტიცხოვლის ეზოს სურათისა უდავოდ ხდის შორეულთა და მახლობელთათვის, რომ ქართლის მკვიდრთა ცხრა მეათედი ღრმა მორწმუნე და დიდი ღვთის მმოსავია. ამ ზღვა ხალხის ენაზე უღვთოობა, უსჯულოება, და მოუნათლაობა იგივეა, რაც პირუტყვობა, ნადირობა, ველურობა, გონება-ზნეობის სიბნელე და უბადრუკობა.

აქ მოსულ ხალხის დიდი ნაწილი მოკლებულია ქართულ საისტორიო მწერლობასთან ნაცნობობას, მაგრამ სამაგიეროთ მის მახვილ და საზღაპრო სიმტკიცის მეხსიერებაში დაცული არის ყველა ის ზეპირთქმულებანი და გარდამოცემანი, რომლებიც წერილობით საბუთებზე ნაკლებად არ უშუქებენ მას სამშობლოს თავგადასავალს, ამ ტაძრის და მის მსგავს ძეგლების აშენების ისტორიას, მირონ მადინებელი სვეტის აღმართვის ამბავს და სხვა.

ამ, ღვთის სადიდებლად შეკრებილი ერის შეურყეველი რწმენით სვეტიცხოველი და მსგავსი ტაძრები, მამა-პაპათა უკვდავი ანდერძის ის ცოცხალი წიგნია, რომლის ფურცლებზედაც ყოველი ქართველი მკაფიოდ და თავისუფლად კითხულობს:

„ილოცე, იშრომე და ისწავლეო.“

ამ ხალხს ქრისტეს მოძღვრების მიღება-შეთვისებისათვის სახელად უწოდებია მონათლვა, ნათლისღება, ესე იგი სიბნელიდან სინათლეში გამოსვლა, ბნელეთის მოშორება და ნათლის სფეროთი შემოსვა.

საუცხოვო, გენიოსური შეფასებაა ქრისტიანობის მნიშვნელობისა! დიახაც, რომ ქრისტიანობა კაცობრიობის მაცოცხლებელი მზეა. არასდროს და არსად მთელ დედამიწაზე არ ყოფილა მაგალითი, რომელიმე ერი დასდგომოდეს უღვთოობის გზას, უარეყოს სჯული, ხელი აეღოს მამა-პაპათა სალოცავებზე, დაენგრიოს წმიდა ტაძრები და თვითონაც ქვეშ არ მოჰყოლოდეს ამ ნანგრევებს, არ აღგვილიყოს დედამიწის პირიდან სარწმუნოების დაკარგვასთან ერთად, შემდეგ გაუსჯულოებისა ხელიდან არ გამოსცლოდეს საკუთარი მიწა-წყალი. მოგახსენებთ: ვერავინ ძე ხორციელთაგანი ამის გასაბათილებელ საბუთს ვერ მოსძებნის კაცობრიობის ძველს და ახლა ისტორიაში და რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სარწმუნოების დაკარგვა მარტო ჩვენთვის, ქართველებისათვის არ იქნება საბედისწერო, უღვთოობა ქართველებს არ მოგვსპობს, არ აღგვგვის ქვეყნიერობიდან და არ მოგვიღებს ბოლოს?!

სრულებით არავითარი საბუთი!

მაშ, საყვარელნო, ჩვენდა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ, ისევ ვილოცოთ, ვიშრომოთ და ვისწავლოთ გაორკეცებული გულმოდგინებით თანახმად მამა-პაპათა უკვდავი ანდერძისა, ნურაფრის გულისათვის ნუ დავივიწყებთ სვეტიცხოვლობას, ნუ გავაცივებთ ნურსად წინაპართა სალოცავებს, ვიმოქმედოთ ქალმა და კაცმა ცხოვრებაში ღვთისადმი ურყევი ერთგულება-სიყვარულით და გვწამდეს, რომ ამ გზით სიარული გაამეფებს ჩვენს ცხოვრებაში ქრისტიანულ ძმობა-ერთობას, მოგვცემს ეროვნულ სრულს შეგნებას და სათაყვანო სამშობლოს მოუპოვებს ერთა შორის სათანადო პატივისცემას. ამინ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდი.

საქართველო. – 1920. – N12. - იანვრის 17. - გვ.2.

შესხმა

წარმოთქმული თავისუფლების მოედანზე საზეიმო პარაკლისის დროს

ანტანტისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო

ძვირფასნო ძმებო და დებო, დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალნო მოქალაქენო!

ამ ბრწყინვალე წამს ჩემი სოფლური ყრმობიდან უნებურად მაგონდება ერთი საახალწლო ჩვეულება, რომელსაც გაუტეხელად მისდევდა თვითეული ქართული სახლობა: მშობლები, ან მათი მოადგილენი, ოჯახის თვითეულ წევრს საკუთრად, მიუხედავათ ასეთის ჰასაკისა, უცხობდნენ ეგრედ წოდებულ „ბედის პურს,“ რომელსაც მეტი სიტკბოსა და გემოსათვის აყოლებდნენ გულში ჩამიჩს ან ნიგოზს. ჩვენც, დედა საქართველოს ოჯახის ძენო და ასულნო, ჯერ ჩვენმა ზეციერმა მამა ღმერთმა და მერე ჩვენმა გონიერმა მთავრობამ გამოგვიცხო დღეისათვის ყველას საახალწლო შემრგო, ყუათის მომცემი, ტკბილი და გამტკიცებული „ბედის პური.“

ქვეყნიერობაზე გონიერი არსებისთვის დამოუკიდებლობაზე უძვირფასესი არა არსებობს რა. კაცისათვის, თუ ის ღირსეულად ატარებს ამ სახელს, თავისუფლება მაცოცხლებელი მზეა და აი დამოუკიდებლობის, ამ თავისუფლების ღირსად გამოგვაცხადეს და გვიცნეს დღეს ევროპის და ამერიკის უძლიერესმა ერებმა.

საყვარელნო! მოგეხსენებათ, რომ „ბედის პურის“ ფქვილი ყველა ოჯახს სახლში აქვს და საბედისპურო ცომით ოჯახსავე ვარცლში იზილება, მარტო თონეს გასახურებელი შეშა-ფიჩხის მოსატანად მიდიან ხოლმე შორს ტყეში ოჯახის ვაჟკაცნი.

ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლებაც აქ, ჩვენშივე შემზადდა და გამოცხადდა ამ ორი წლის წინეთ, მაგრამ ეს არ კმაროდა: საჭირო იყო, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა აღეარებინათ უცხოელებსაც. ამის გასარიგებლად და მოსაპოვებლად გაემგზავრნენ ევროპაში ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი კაცები და აი დღეს ამ დესპანებმა ზურგით მოგვიტანეს კაცობრიობის თონეში საუცხოვოდ გამოშუშულ-გამომცხვარი ტკბილი საახალწლო „ბედის პური“ - თავისუფლების დადასტურება.

დასტკბით, ძვირფასნო, ამ ნეტარებით! შეისისხლ-ხორცეთ დიდმა და პატარამ ეს ბედნიერება და ისარგებლეთ მით ისეთი გონიერებით, რომ ევროპას და ამერიკას სათქმელად ჰქონდეთ: რატომ უფრო ადრე არ ვსცანით საქართველოს დამოუკიდებლობაო!

შვილებრივი მადლობა და თაყვანისცემა აღუვლინოთ ესოდენ უზომო ბედნიერების ჩვენს თავზე მოვლენისათვის ცისა და ქვეყნის მეუფე დაუსაბამო ღმერთს, უღრმესი მადლობა და გულითადი პატივისცემა მივუძღვნათ ევროპისა და ამერიკის სახელოვან ერებს

ჩვენდამი ძმური ხელის გამოწვდისა და თავიანთ ოჯახში სწორუფლებიან წევრად მიღებისათვის, გულის სიღრმიდან ამოვარდნილი ვაშას გრგვინვა-ქუხილით გავახაროთ ჩვენი მთავრობა და ჩვენს საყვარელ ერს ვუსურვოთ ყველამ წინსვლა, აყვავება, ძლევამოსილება, მარადისობა და უკვდავება!

იზეიმეთ, საყვარელნო!

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდე.

საქართველო. – 1920. – N44. - თებერვლის 27. - გვ.3.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის

მოწოდება

კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი, მონა და მსახური უფლისა იესო ქრისტესი ღვთივ კრძალულთა მღვდელმთავართა, მღვდელთა და მორწმუნეთა ძეთა და ასულთა საქართველოს წმიდა ეკლესიისათა: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

მდგომარე წლის თებერვლის ოცი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დარჩება საუკუნეთა განმავლობაში წაუშლელ ნიშნად უღრმესი ეროვნული უბედურებისა და საშინელი ღვთის რისხვისა! ამ დღეს ჩვენში არ გაგონილი სიმძლავრის მიწის ძვრისაგან მოისპო და საკუთარ ნანგრევებში ჩაიმარხა ქართლის გული, - ქ. გორი და მისი მაზრის ჩვიდმეტი სოფელი! მე ვინახულე ეს საშინელების ალაგი და დავრწმუნდი, რომ სინამდვილე ბევრად აღემატება გაზეთებში აღწერილ სურათს. ხალხის თავზე დატეხილ უბედურების გამოთქმა შეუძლებელია ჩვენი ენითა და ცრემლით. უძლეველ სტიქიურ ძალას მტვრად უქცევია ყველაფერი, რის შექმნისა და მოპოვება შეძენისათვის შეულევია თვითოეული ოჯახის წევრს თავისი მხნეობა, ცოდნა და გამოცდილება. ესეც ცოტაა: ნანგრევებს ქვეშ მოუქცევია და უფსკრულის ძირში ჩაუნთქავს ოჯახების ამშენებელნი, მარჩენელნი, მომავლის იმედნი: ვაჟკაცნი, ყრმანი და მოხუცნი! ზოგიერთი ოჯახი მთლად მოსპობილა, ზოგიდან ერთიღა დარჩომილა, ზოგნი თუ სასწაულებრივი ძალით ცოცხლები გადარჩენილან, ნამეტანი შიშისაგან ჭკუა შეშლილად გამოიყურებიან და დედას შვილი ვეღარ უცვნია.

უჭეროდ და უკერძო დარჩომილებს თავი შეუფარებიათ მთავრობისაგან მიწოდებულ ტილოს კარვების ქვეშ. რომელ კარავთანაც კი მივედი ნუგეშის მისაცემად, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა ყველამ ხელების აპყრობით, ერთხმად, ცეცხლის ცრემლების ფრქვევით შემომტირეს: „მამაო, გვიშველე, შეგვიბრალე, შეგვავედრე უფალს, ნუღარ დაგვსჯის, ნუღარ გვკითხავს ცოდვებს, აღარა ვართ ღარსნი მისი შვილობისა, მაგრამ შენ მოაბრუნებინე მას ჩვენზე მამობრივი გულიო!“...

თანაძმანო და თანამსახურნო, მწყემსმთავარნო და მწყემსნო! სულიერნო ძენო და ასულნო! ბეჯითად და გულმოდგინეთ შევუსრულოთ უბედურობაში ჩაცვინულ ჩვენს ძმებს

და შვილებს მათი პირველი და მდუღარე ცრემლებით ჩვენდამი მომართული ვედრება: ყველა ქალაქში და დაბა-სოფელში გადავიხადოთ სასინანულო სავედრებელი, შემუსვრილი გულით შევავედროთ ზეციერ მამას მიწის-ძვრისაგან გაჭირვებაში მყოფნი და შვილებრივი კადნიერებით გამოვთხოვოთ მას მთელი ჩვენი ერისათვის მშვიდობა, სიმრთელე და ხსნა შიმშილისაგან ძვრისა და სვრისა!

ამ ტეხა-სიცივის დროს ტილოს კარვების ქვეშ მყოფთ ესაჭიროებათ საზრდოც და შესამოსიც. ღმერთმაც უწყის და ქვეყანამაც, რაც ხელმოკლეობას და ნაკლულევანებასაც განიცდის ჩვენი სამღვდელოება, მაგრამ მიწის-ძვრისაგან დასჯილები სულ უსახსრონი არიან, ამიტომ გთხოვთ და გევედრებით მღვდელმთავრებს და მღვდლებს, - მშიერებს ლუკმა გაუყოთ, თავზედ მეხ-დატეხილ ჩვენს ძმებს გაცრეცილი ანაფორებით შეუმოსოთ ყინვისაგან გათოშილი სხეული და ჩვენი ხელით მოვწმიდოთ მწუხარების ცრემლი! ეკლესიებში, ოჯახებში, გზებზე და ყველგან გვახსოვდეს გაჭირვებულთა მდგომარეობა, თვალწინ გვედგას მათი მწუხარება და ყოველი ჩვენი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა სულისა და გულისა, მიმართული გვქონდეს მათ ტანჯვათა შესამსუბუქებლად, ნუ დავზოგავთ და ნუ დავიშურებთ მათ მისაწვდენათ ნურაფერს, რაც კი მოგვეპოვება.

სულიერო ძენო და ასულნო! დღეს დიდ მარხვის პირველი კვირიაკეა; ყველანი ემზადებით, რომ ეზიაროთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ქრისტე კი, მიწის ძვრისაგან უბედურობაში ჩაცვივნულთა სახით, მწვავე ცრემლებით გევედრებათ ქალსა და კაცს შებრალება-გაკითხვას.

მაშ, ეზიარეთ, ძვირფასნო, ნამდვილათ თქვენი მაცხოვრის სისხლსა და ხორცს, გაიკითხეთ, რითაც კი შეგიძლიათ, უბედურობაში ჩაცვივნულნი თქვენნი მოყვასნი, მიეცით მათ საზრდო და საკვები, აუშენეთ განადგურებული ბინები, მოჰბანეთ მათ მწუხარების ცრემლები და ამით თქვენც ჩამოგეხდებათ ზეციერი მამისაგან თქვენი ცოდვების მძიმე ტვირთი.

ჩვენი ქვეყნის დიდო იმედო, ქართველო ახალგაზრდობავ! სიყვარული, თანაგრძნობა და სიკეთისათვის თავდადება შენი ბუნებაა. შენ უნდა შენი გმირული მკერდით შეიჭრა იმ უბედურობის ზღვაში, რომელმაც წალეკა გორი და მისი მიდამო, შენ უნდა შენი უთვალავი გუნდებით ტარბისებრ მოედო სტიქიისაგან აოხრებულ კუთხეს და შენი მადლიანი მკლავით ისევ აამოძრავო ყველგან სიცოცხლე, აანთო გამქრალი კერა და ისევ აამღერო საზარელი მოვლენისაგან თავზარ დაცემული შენი თანამშები. იცოდე, ეხლა შენზედ აქვთ მოპყრობილი თვალი დანგრეულ გორს და მის მიდამოს!

შვილნო! დაუმტკიცეთ კაცობრიობას, რომ ვიცით თანამშათა უბედურების გაზიარება და ღირსეულად ვატარებთ ღვთის ხატსა და მსგავსებას.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდი.

შეწირულება გროვდება საკათალიკოზო საბჭოში.

საქართველო. – 1920. – N109. - ენკენისთვის 30. - გვ.4.

კათოლიკოზ ლეონიდეს მოწოდება

ჩემს საყვარელ სამწყსოს, ქართველ ერს, მადლი და კურთხევა ღვთისა.

ყოველ ქართველს, რომელიც ღირსეულად ატარებს ამ სახელს, ქვეყანაზედ უდიდეს და პირად სიცოცხლეზე უძვირფასეს საუნჯედ უნდა სწამდეს სათაყვანო სამშობლო, ობოლი მარგალიტი საქართველო, ხოლო საქართველოში უდიდეს ღირებულებად ქართველი ერის პირველი სალოცავი სვეტი-ცხოველი მცხეთისა. როგორც გაზაფხულის სხივების თბილი კოცნა აღვიძებს და სიცოცხლის სულს უდგამს ზამთრის ყინვისაგან მომკვდარინებულს ბუნებას, ისე სვეტი-ცხოვლის ხილვა ჰბადებს და აჩენს ხოლმე ქართველი ქალისა და კაცის გულში მამულიშვილურ გრძნობას, ეროვნულ შეგნებას, ხალხოსნურ თავმოწონებას, ღრმა სიყვარულს ყველაფრისადმი, რაც მახლობელი და მშობლიურია. სვეტი-ცხოველი ქართველისათვის დიდი სარკეა, რომლის ნათელ გულზედაც მკაფიოდ ასახულა ჩვენი სამშობლოს მრავალ-საუკუნიანი წარსულის უმეტნაკლებო სურათი, ის თუ რა ყოფილა და რადაც უნდა დარჩეს ქართველი ერი, რითი გაუმტკიცებია მას თავისი ძლიერება ეკონომიურ-პოლიტიკური კეთილდღეობა და რამდენადაც მუდამ უძლევია მტერთა სიმრავლე.

ცნობილია, რომ მცენარე იმდენად საღი და მძლავრია, რამდენადაც ღრმად და მრავლად აქვს მას გატანილი მიწაში ფესვები, ამის მსგავსად თვითეული ერის მომავალი იმდენად საიმედო და უშიშარია, რამდენადაც ამა თუ იმ ერის შვილებს შეგნებული და შესწავლილი აქვთ სამშობლოს წარსული. ერი, მოკლებული ამგვარ ცოდნას, უფესვო ხეა, რომელსაც პირველი ქარი ძირს დასცემს და დალეწავს. ჩვენი ქვეყნის მთელი თავგადასავალი, როგორც მოგახსენეთ, მზის სიცხადით გამოსჭვივის სვეტი-ცხოვლის ტაძრის ბუმბერაზული სხეულის ყოველივე ნაწილიდან და რაც უფრო ახლო გავეცნობით ამ ჩვენი დიდების ძეგლს, მით უზრუნველ ვყოფთ ჩვენს დამოუკიდებლობას მომავალში.

და აი, ასეთი ძეგლი ჩვენი ვინაობისა დღეს თავზე გვენგრევა. ასეთი თვალსაჩინო მონუმენტი ჩვენი მომავლის განმტკიცებისა ამ ჟამად გარეულ ფრინველთა ბუდედ ქცეულა. ამ უპირველეს სამლოცველოს ახლო ვეღარ მივეკარებით ზემოდგან ქვების ჩამოცვივნის შიშით და შესაძლოა ამ წელს თვით სვეტიცხოვლობა დღეს წირვაც ვეღარ გავბედოთ ტაძარში, რადგანაც თებერვლის მიწისძვრის შემდეგ საკურთხევლის თაღიდან ზედ წმიდა ტრაპეზზე ჩამოეშვა ორი უშველებელი ლოდი და მათი ჩამოვარდნა ყოველ წამს მოსალოდნელია.

საყვარელნო! ქართველმა ერმა სასიქადულო ჭირის-უფლობა გაუწია სვეტი-ცხოველს იმ დროს, როდესაც ჩვენში ბატონობდნენ არაბები, მონღოლები, ოსმალები, სპარსები და სხვა მათგვარი ჯალათები, და ნუთუ წარმოსადგენია, რომ დღეს, როდესაც საქართველოს დაჰყურებს თავისუფლების მზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის გამგე პატრონი ჩვენი ერია, ქართველი დემოკრატია შეურიგდება იმას, რომ სვეტი-ცხოვლის ტაძარი სწორედ ახლა საქართველოს აღდგენის ჟამს დაინგრეს, ახლა განადგურდეს და ახლა აღიფხვრას იგი კეკლუცი საქართველოს პირიდან? მაშინ რაღა დარჩება ამ დემოკრატიას დაკარგული ძეგლის ალაგას საამაყო და თავმოსაწონი სამშობლოში. რაღა პირით წარუდგება ეს დემოკრატია

თავის წინაპრებს, რომლებმაც შეჰქმნეს კიდეც და მრავალ საუკუნეთა მანძილზე უზიანოდაც გამოიტანეს ეს მთავარი სიწმინდე ქვეყნისა განსაცდელთა გაუქრობელი ცეცხლიდან, რომლითაც ბოროტი მტრები ლამობდნენ საქართველოს ხსენების გაქრობას.

უძლურება-გაჭირვებაში მყოფ მშობლებზე ზრუნვა შვილების საღმრთო ვალია. დაღუპული რეჟიმისაგან პატივ-აყრილი, დანგრევის პირას მიმდგარ და სავსებით გაძარცვულ-გაშიშვლებული სვეტი-ცხოველი ჩვენდამი ხელებ-გამოწვდილი შველასა გვთხოვს, როგორც შვილებს და თუ მართლა შვილები ვართ მისი და ქართული დემოკრატიული რესპუბლიკისა, ყურად ვიღოთ გაჭირვებულის ძახილი, საჩქაროდ მივეშველოთ მას ქალი და კაცი და უმეტნაკლებოდ აღვუდგინოთ მას ძველებური მდიდრული სამკაულ-სამოსელი, როგორც დამოუკიდებელი ეკლესიის დედა ტაძარს. ნუ დაგვავიწყდება, რომ დედის სიტიტვლე შერცხვენაა შვილებისა. ყველანი, სიამოვნებით და ხალისით ჩავებათ სვეტი-ცხოვლის განახლების საქმეში და სწორეთ ამ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი საამაყო ძეგლის აღდგენით გადავაბათ ერთი მეორეზე ძველი და ახალი საქართველოს დამოუკიდებლობა.

სრულიად საქართველოს მოსწავლე ქალ-ვაჟობავ, პირველ რიგში შენ შემოგცქერის სვეტი-ცხოველი, მის გულს ყველაზე მეტს ნეტარებას განაცდევინებს ის აგური, რომელსაც მის გალავანში შეიტანს შენი ფაქიზი ხელი და ყველაზე მეტად აღაფრთოვანებს ის სიტყვა, რომელიც შენ ამოგხდება უმანკო გულიდან მის სასარგებლოდ.

მაშ, ღვთით, დიდი და პატარა ხელი-ხელს ჩაკიდებით შეუდგეთ ჩვენი სალოცავის სვეტი-ცხოველის განახლებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდი.

საქართველო. – 1920. – N162. - ქრისტეშობისთვის 1. - გვ.4.

სიტყვა

თქმული 28 ნოემბერს სახელოვანი მსახიობის

ვლადიმერ ალექსი - მესხიშვილის ანდერძზე

პატივცემულო მსმენელნო! ქართველობის ოჯახის მაღალი ხელოვნების საერთო ლამაზ დარბაზს დღეს ჩამოენგრა და გამოეცალა ერთი უძვირფასესი და უთვალსაჩინოესი სვეტი.

სიკვდილმა ჩააქრო ქართული სცენის პირველი ხარისხის სიდიდის მნათობი. დღეიდან ქართული თეატრის მოყვარულთა ყურთა სმენას ვეღარ დაატკბობს ციურ მუსიკალობას ანკარა ტალღებში ამოვლებული ლადოს ხმა, ამას იქით ქართული საზოგადოება თბილისის სცენაზე ვეღარ იხილავს თვით მშვენებისგან საოცრად ჩამოქანდაკებულს ლადოს სხივმფენ სახეს! დადუმდა და არარად გარდაიქმნა ლადოს მხატვრული ენა!..

ქართველობამ უნდა დღეს ცივ მიწას მიაბაროს ის, ვინც ხალხის წარმოდგენაში მშობლიო სცენა შემოსა წმიდა ტაძრის, საღმრთო სალოცავის შარავანდედით, ვისაც ოთხ ათეული წლის მანძილზე ხელთ ეპყრა ქართულ თეატრში მოსიარულეთა გულისყური და გრძნობა, ვინც ათასობით თავმოყრილ მაყურებლებს ხან გულ-ამოჯდომით ატირებდა და აკვნესებდა, როგორც ერთ კაცს, ხან უდარდელად ამღერებდა და აცინებდა, ხან პირქვე ამხობდა და აჩოქებდა, ხან ფრთებს ასხავდა და მერცხალივით ჰაერში ნავარდებდა, ხან აფთრებად და მძვინვარე ლომებად ჰქმნიდა, ხან ნათელმოსილი მშვიდობის ანგელოზის სახეს აძლევდა, ამ წამს რომ მამზერალ საზოგადოებას დაუნდობლად აგმობინებდა სიბილწეს, სივერაგეს და სიმახინჯეს, მეორე წუთს იმავე საზოგადოებას სირინოზის ხმით ამღერებდა სინათლისა, სიკეთისა და მშვენიერებისათვის, მოკლედ, დღეს ქართველობა საბოლოოდ ეთხოვება თავისი გულის მეფეს, ქართული სცენის უაღრესობამდე ამამაღლებელ ხუროთმოძღვარს და ვის აქვს უფლება დაგვძრახოს, რომ სტირის, გლოვობს და თალხებშია არა ერთი ოჯახი, არა რომელიმე წრე ან კლასი, არამედ მთელი მოაზროვნე საქართველო!

მიუხედავად ამისა ეს ჩვენი გლოვა-ტირილი მაინც არ ნიშნავს უიმედობას...

ჩვენ ღრმად გვჯერა მეცნიერების დებულება, რომ ამ ქვეყნად არაფერი არ იკარგება უკვალოდ და უშედეგოდ. სულმნათი მიცვალებულის ორმოცი წლის მანძილზე მადლიანი მუშაკობა სამშობლოს საკეთილდღეოთ, ეჭვს გარეშეა, მახლობელ მომავალში მოგვცემს საამო ჯეჯილს და ჩვენი ერის აღმზრდელ გამაფაქიზებელ ქართულ თეატრს მხრებში ამოუდგებიან ლადოს ღირსეული მემკვიდრენი.

პირადად მე, რომელსაც მხოლოდ შორიდან მიდევნებია თვალ-ყური მიცვალებულის ნათელი მოღვაწეობისთვის, ამ წამს მხოლოდ ის მრჩება სასინანულოდ, რომ ამ დიდი ბუნების კაცისაგან სამშობლოს სულიერად დასაპურებლად გადახნულ ხოდაბუნში შიგადაშიგ მოსჩანან ეგრედ წოდებული ხარვეზები, ესე იგი თავისი ზეგარდამო მადლით ცხებული ნიჭი დრო და დრო უხარჯავს და უღალავს უცხოთა სასარგებლოდ, როდესაც შინ დედა საქართველოს არ ჰყოლია მისი ტოლი და ბადალი.

ვილოცოთ ყველამ, რომ ცხოველთა და მკვდართა პირუთვნელი მსაჯულის იესო მაცხოვრის წინაშეც ისე პირნათლად გამოჩენილიყოს, როგორც მუდამ პირნათლად რჩებოდა იგი ქართული საზოგადოების თვალში ყოველ თავის სცენაზე გამოსვლებზე.

ამინ.

კათოლიკოზი ლეონიდი.

საქართველო. – 1921. – N41. - თებერვლის 22. - გვ.1.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარხის მოწოდება

ძენო ქართლისაო! სრულიად საქართველოს ვაჟკაცნო და ქალნო!

მადლი და კურთხევა იესო ქრისტესი თქვენდა.

საუკუნოებში განწირულ საქართველოს საღმრთო განგებამ არგუნა ხვედრი, გახდეს სამარედ სკვითებისა, რომელთაც შემუსრეს და დასცეს რუსეთი და რომელნიც აზია-ევროპაში მხოლოდ ყველაფერს ანგრევდნენ და ანადგურებდნენ.

თითქოს უკეთურნი უახლოვდებოდნენ ჩვენს დედა ქალაქს და დამშეულნი ელოდნენ თბილისში გემრიელი პურით და ღვინით გაძღომას, თბილისის განთქმულ აბანოებში დასუფთავებას, მაგრამ როგორც არასოდეს, მტკვარი პირს არ იბრუნებს უკუღმა, ისე ჩვენი ვერაგი მტერი, ვერ მიაღწევს ბოროტ განზრახვას, ღმერთი არ აღირსებს მას საქართველოს დაპყრობას, ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი ცეცხლად შეარგებს მას ჩვენი მამულის პურსა და ღვინოს, რომელსაც ქართველობა ვხმარობთ სეფისკვერად და ზედაშედ.

საყვარელნო, ფრონტის ზურგში მყოფნო! შევინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მივეცემით იმ საშიშარ და ცრუ ხმებს, რომლებსაც ავრცელებენ ხოლმე მხოლოდ ჩვენი მტრები, ხალხში შიშისა, სასოწარკვეთილებისა და არეულობის გამოსაწვევად.

ენდეთ ჩემს ჭაღარას, როგორც ვერავითარი ძალა ვერ მოგლეჯს თავის ძირიდან კავკასიონს, თუ არა მიწის ქვეშეთიდან ამოხეთქილი ძლიერება, ისე ვერავითარი ბოლშევიკები და სომეხ-ადერბეიჯანელები ვერას დააკლებენ სახელოვან კახელ-ქიზიყელისა თუშ-ფშავ-ხევსურ-მთიელებისა, უტეხი ქართლელებისა და ამაყ იმერ-ოდიშარ-აფხაზებისაგან შემდგარ საქართველოს ლაშქარს, თუ ფრონტის ზურგი მტკიცედ გვექნება დაცული.

ამას გთხოვთ, ჩემო სულიერნო ძენო და ასულნო, სამშობლოს სიყვარულით, ამაზე გევედრებით მთელი ჩემი არსებით, ამას მივაქცევ თქვენ მთავარ ყურადღებას, დანარჩენი ყველაფერი ჩვენს ხელთ არის და იქნება.

ღმერთმა აკურთხოს და ჩქარი ძლევა-მოსილებით შემოსოს ჩვენი ამაყი ლაშქარი!

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დაიცვას და დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით მისი წილხდომილი საქართველო!

ქება, დიდება და მარადისობა ქართველ ერს!

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი ლეონიდი.